პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 211 (9987) | კვირა, 5 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

ვ. ჩალაძე. — რუსთავის კომუნისტები მეტი ლითონისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს ჩაის ფოთლის კრეფაში (მე-2 გვერდი).

საკლესის განცხადება (მე-2 გვერდი).

გავაძლიეროთ საშეფო დახმარება სოფლისადმი (მე-3 გვერდი).

საუბარი პედაგოგიკის თემებზე. — ოჯახის როლი მოსწავლეთა პოლიტექნიკურ სწავლებაში (მე-3 გვერდი).

შ. დამბაშიძე. — დაუვიწყარი დღეები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო სრულად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

მეორე თვეა მუშაობს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამ ხნის განმავლობაში მისი პავილიონები დაათვალიერა ახი ათასზე მეტმა ექსკურსანტმა კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებიდან, სულ კი გამოფენა ინახულა სამ მილიონზე მეტმა მშრომელმა. საბჭოთა ხალხის უდიდესი ინტერესი გამოფენისადმი სავსებით კანონზომიერია. აქ თავმოყრილია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების უმდიდრესი გამოცდილება. პავილიონების სტენდები მოგვითხრობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა იმ უდიდესი არმიის მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე, რომელიც ჩვენი საბჭოთა სოფლის სიამაყეს წარმოადგენს.

გამოფენის ყველა განყოფილება დიდად საგულისხმო და საინტერესოა. თვითეულ განყოფილებაში ადამიანები ეძებენ და პოულობენ პასუხს საჭიროროტო საკითხებზე. მაგრამ ექსკურსანტები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იქცევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის გამოცდილებასადმი, რაზეც დღეს ლაპარაკია „პრავდაში“.

მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, და მათ შორის სოფლის მეურნეობის, ძალა ინდუსტრიის ნამძლავრეშია. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად ზრუნავენ სოციალისტური ინდუსტრიის — საბჭოთა ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის განვითარებისათვის. მძიმე მრეწველობის სწრაფმა ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა ტექნიკურად ხელახლა შეგვეიარაღებინა სოფლის მეურნეობა, შეგვექმნა მისთვის ინდუსტრიული ბაზა. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და მექანიზებული გაგვეხადა იგი.

მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც ნაჩვენებია გამოფენაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის განფენილობის უმდიდრესი გამოცდილება. პავილიონების სტენდები მოგვითხრობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა იმ უდიდესი არმიის მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე, რომელიც ჩვენი საბჭოთა სოფლის სიამაყეს წარმოადგენს.

გამოფენის ყველა განყოფილება დიდად საგულისხმო და საინტერესოა. თვითეულ განყოფილებაში ადამიანები ეძებენ და პოულობენ პასუხს საჭიროროტო საკითხებზე. მაგრამ ექსკურსანტები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იქცევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის გამოცდილებასადმი, რაზეც დღეს ლაპარაკია „პრავდაში“.

მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, და მათ შორის სოფლის მეურნეობის, ძალა ინდუსტრიის ნამძლავრეშია. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად ზრუნავენ სოციალისტური ინდუსტრიის — საბჭოთა ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის განვითარებისათვის. მძიმე მრეწველობის სწრაფმა ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა ტექნიკურად ხელახლა შეგვეიარაღებინა სოფლის მეურნეობა, შეგვექმნა მისთვის ინდუსტრიული ბაზა. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და მექანიზებული გაგვეხადა იგი.

მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც ნაჩვენებია გამოფენაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის განფენილობის უმდიდრესი გამოცდილება. ამ ხნის განმავლობაში ექსკურსანტებმა ეწვიეს ტრაქტორების, კომბაინერების, მექანიკოსების, ინჟინრების შესანიშნავი გამოცდილება. ჩვენი ქვეყნის მოწინავე მტს-ებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ტექნიკის გამოყენებაში, საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციასა და ამ საფუძველზე მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში. ასეთებია კრასნოდარსკის მტს-ი ყუბანეთში, მედვედოვსკისა ყუბანში, სეტროვკისა სტავროპოლის მხარეში, სტრიეევსკისა და კოტოვსკისა უკრაინაში და ბევრი სხვა.

ახლა მეტად მნიშვნელოვანია, რომ მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილება ფართოდ იქნას გამოყენებული ციმბირისა და ყაზახეთის მინდვრებში, სადაც გაჩაღდა დაძაბული ბრძოლა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მოსავლის აღების წარმატებას კომბაინების ნაყოფიერი გამოყენება წყვეტს. კომბაინით მოსავლის აღების ოსტატთა გამოცდილება გვიკარნახებს ამ ამოცანის გადაჭრის გზებს. კომბაინით მოსავლის აღების ცნობილმა ოსტატმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. კანდიბორმა მოაწყო კომბაინის ორ ცვლად მუშაობა. ამან შესაძლებელი გახადა თითქმის ერთიორად გადიდებულიყო მანქანის წარმადობა. მოსავლის აღებაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული კომბაინების მუშაობის ჯგუფური მეთოდი, კომბაინების საათობრივი გრაფიკით მუშაობის ორგანიზაცია და სხვა ხერხები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მექანიზატორებმა შეიმუშავეს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ კომიტეტს ნება დაერთო გამოფენის მონაწილეებად დაამტკიცოს მოწინავე კომბაინერები წელს მოსავლის აღების შედეგების მიხედვით. ამ დღეებში გამოფენის კომიტეტმა გამოფენის მონაწილეებად დაამტკიცა პირველი კომბაინერები, რომლებმაც წლევანდელი მოსავლის აღებაში შრომითი მაგაცობის ნიმუშები გვიჩვენეს. ეს საპატიო უფლება მოიპოვეს კუსტანაის ოლქის კომბაინერებმა იაკობ მიშჩენკომ, ათანასე შაპოვალოვმა, ვასილ ოვჩინკოვმა, ნიკოლოზ ოდინცემა და იაკობ რომაშკინმა. პატივი და დიდება მოწინავე კომბაინერებს, რომლებმაც გვიჩვენეს მოსავლის სანიმუშო აღებისათვის ბრძოლის აღმაფრთოვანებელი მაგალითი!

ყოველ კომბაინერს აქვს შესაძლებლობა გულმოდგინე შრომით მოიპოვოს გამოფენაში მონაწილეობის უფლება. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართოდ გააჩაღონ კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება, გულმოდგინედ გაუწიონ პროპაგანდა მოსავლის აღების მოწინავე წესებს, რათა ამ ხერხებით შევაიარაღოთ ყველა კომბაინერი. ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში სამხრეთის ათასობით გამოცდილი კომბაინერი ჩავიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ უფრო ფართოდ გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, დეხმარონ ადგილობრივ კომბაინერებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

„სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის“ პავილიონში და გამოფენის სხვა პავილიონებში წარმოდგენილია მტს-ები, რომლებიც დიდად ზრუნავენ მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. უკრაინაში პოლტავის კიროვის სახელობის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა ყველა კოლმეურნეობაში, რომლებსაც იგი მომსახურებას უწევს, მოახდინა ფერმებში წყლის მიწოდების მექანიზაცია, აქტიურ მონაწილეობას იღებს საკვების დამზადებაში. საქმის ინტერესები მოითხოვს უყურადღებით შევისწავლოთ საუკეთესო მტს-ების მუშაობის პრაქტიკა და უკვე ახლა დავიწყოთ მათი ძვირფასი გამოცდილების დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში.

მტს-ების მუშაკებს, დაწყებული დირექტორით და გათავებული ტრაქტორისტით, დიდად უნდა აინტერესებდეთ მეცხოველეობის მდგომარეობა კოლმეურნეობებში. ისინი მოწოდებული არიან კოლმეურნეებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ საკვების დამზადების გეგმის შესრულებისა და ფერმებთან მისი დროზე მიზიდვის გადაუდებელი ღონისძიებანი. უნდა გავითვალისწინოთ, რა გზით და რა ოდენობით გადიდდება საკვების წარმოება, რათა გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთელი შესაძლებლობანი.

მძლავრი თანამედროვე ტექნიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელი ზრდის წყაროა. კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების ყოველი დარგის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია მანქანების გამოყენების ხარისხზე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებით გვიჩვენებს მანქანების ნაყოფიერად გამოყენების უმდიდრეს რეზერვებს. ამ რეზერვების ამოქმედება სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა.

„პრავდის“ 4/IX მოწინავე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უზბეკეთის სს რესპუბლიკაში კატა-კურგანის წყალსაცავის წარმატებით მშენებლობისა და ექსპლოატაციაში გადაცემისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მშენებლობაზე. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 44 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 96 კაცი და მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 187 კაცი.

ჩვენს დიად სამშობლოში



მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ლი შუ-ჩენი საქართველოს სსრ პავილიონის ორანჟერიაში.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა და ვ. იანკოვისა. (საკლესის ფოტოქრონიკა).

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

მოსკოვი. რევოლუციის მოედანი, 4. ამ მისამართს მილიონობით მშრომელი იცნობს, აქ დიდ მონუმენტურ შენობაში მოთავსებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცენტრალური მუზეუმი.

ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმრები — სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები ყოველდღე ათვალიერებენ მუზეუმის უმდიდრეს ექსპოზიციას, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან ისტორიაზე, მშრომელთა დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ამ დღეებში მუზეუმის დარბაზებში განსაკუთრებით ბევრია კოლმეურნე, აგრონომი, მტს-ების მექანიზატორი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკი. ესენი არიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსანტები. 2 სექტემბერს მუზეუმში ერთ-ერთნი პირველნი მოვიდნენ უკრაინის სსრ კიროვოგრადისა და სტანისლავის ოლქებიდან, ბელორუსიის სსრ მოლოდეჩნოს ოლქიდან, საქართველოდან და სხვა ადგილებიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

აგვისტოში მუზეუმი 120 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

წამის მეათიათასედამდე ნაწილაკის სიზუსტით

ჩვენს წინაშეა უჩვეულო ციფრბლატიანი საათი. მის ციფრბლატზე საჩვენებელი ისრების ნაცვლად მთელი რიგი სასიგნალო პატარა ნათურებია. ისინი გვიჩვენებენ წამის მეათედ, მეასედ, მეათასედ და მეათიათასედ ნაწილაკებსაც კი. ეს არის ელექტრობის მილიწამზომი. საათის პატარა კორპუსში რთული აპარატურაა. ქანქარას როლს ასრულებს ელექტროდენი, რომლის გამომუშავებაც ხდება მაღალი სიხშირის გენერატორით. ყოველ წამში ხდება 10 ათასი რხევა. სწორედ ამ რხევათა რაოდენობით ირკვევა გასაზომი დრო. მის გამოთვლას ეწევა 45 მინიატურული ელექტროლამპის სისტემა.

მილიწამზომების პირველი საცდელი პარტია გამოუშვა მოსკოვის ქარხანამ „ფიზპრიბორმა“. მათ ფართოდ გამოიყენებენ რადიოში და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში სხვადასხვა ელექტრო ხელსაწყოს გამართვისა და კონტროლისას, ხაზობრივი ადგილგადანაცვლების სიჩქარის გაზომვისას, რაც განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვს, და სხვ.

მოსკოვის ინსტიტუტის მეცნიერები — სოფლის მეურნეობას

კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის წყლის რეჟიმის ლაბორატორიაში გუშინ განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო: მოსკოვს დაბრუნდა ლაბორატორიის ექსპედიცია, რომელიც ვოლგას გადმა მხარეში იყო. მეცნიერი თანამშრომლები ფრთხილად იღებენ ყუთებიდან სინჯარებს იმ მცენარეთა ნიმუშებით, რომელთა გამოკვლევას ისინი იწყებენ.

როგორც საკლესის კორესპონდენტს ექსპედიციის უფროსის მოადგილემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ნ. ყოლეკევიჩმა აცნობა, მეცნიერი თანამშრომლები მოახდენენ საგაზაფხულო ხორბლის ფოთლებისა და მარცვლების მრავალ ბიოქიმიურ ანალიზს იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას ახდენს მორწყვა მცენარეში ცილათა და სხვა ორგანულ ნივთიერებათა დაგროვებაზე. ხორბლისა და ბოსტნეული კულტურების განვითარებაზე მორწყვის გავლენის შესწავლის საუფლველზე მეცნიერებმა ამ სეზონში მოახდინეს საცდელი მორწყვა იმ რაოდენობითა და ვადებში, რომლებიც შეესაბამება მცენარეთა წყლის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს. საგაზაფხულო ხორბლის ნათესებში ამან მოგვცა 10 ცენტნერი მატება ჰექტარზე მორწყვის ჩვეულებრივ პირობებთან შედარებით.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. უზბეკეთის სსრ პავილიონის ჩაიხანაში.

ფოტო ა. მატანოვისა და ვ. ეგოროვისა. (საკლესის ფოტოქრონიკა).

★ ★

უკრაინის სსრ სტანისლავის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

სტანისლავის ოლქის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ეჯიბრებიან დროგობიჩის ოლქის კოლმეურნეებს, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის სავალდებულო ჩაბარების, სესხების დაბრუნების, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1954 წლისათვის დაწესებული გეგმა — სულ 102 პროცენტით. უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურის — ხორბლის დამზადების გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად უზრუნველყვეს თავიანთი თავი თესლით საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას მტს-ების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით, პურის გაყიდვას სახელმწიფო შესყიდვის წესით და აძლევენ კოლმეურნეებს პურს შრომადღეებზე.

ოლქის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკი და სპეციალისტები ამჟამად მთელ ძალოონეს იხმარენ იმას, რომ წარმატებით დაამთავრონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღება, დროულად განახორციელონ საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა და საკვების დაგროვება მეცხოველეობისათვის.

ყაზახეთის სსრ ალმა-ათის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ალმა-ატის ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, რომლებიც ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდების საყოველთაო-სახალხო ამოცანას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, ვადამდე 104 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით. ოლქის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 2 მილიონი 321 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან ამ დროისათვის.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ალმა-ატის ოლქის ამავე რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობა დიდი მრავალდარგოვანი მეურნეობაა, მისმა შემოსავალმა, რომელიც წლითიწლობით დიდდება, შარშან ხუთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აგრონომმა ლ. ხ. მანკომ გამოფენის კონფერენციდარბაზში ექსკურსანტთა დიდ ჯგუფს უამბო ამ მოწინავე სასოფლო სამეურნეო არტელის მუშაობის შესახებ.

კოლმეურნეობას 4 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა აქვს, აქედან 1.527 ჰექტარი სახნავსათესია. მიწას ყაირათიანად ვიყენებთ. ყოველ ას ჰექტარ ნახნავზე შარშან მივიღეთ 132 ცენტნერი რძე და 69 ცენტნერი ხორცი.

კოლმეურნეობამ მტკიცე ურთიერთობა დაამყარა სამეცნიერო დაწესებულებებთან — ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის უაზანის ფილიალთან, ყაზახეთის მეცხოველეობის ინსტიტუტთან, კასკელენის სასელექციო სადგურთან და პრაქტიკაში იყენებს მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს.

ამხ. მანკომ ასეთი მაგალითი მოიყვანა. ზაფხულში ბალახები საძოვრებზე გადაიწვებოდა ხოლმე და პირუტყვისათვის საკვები არა გვყოფნიდა — წველა დაბალი იყო. მეცნიერმა მუშაკებმა დახმარება გაგვიწიეს მწვანე კონვეიერის მოწყობაში, მისთვის კულტურების შერჩევაში. ახლა პირუტყვი უზრუნველყოფილია წვნიანი საკვებით. საძოვრზე პირუტყვისათვის აშენებულია მექანიზებული საზაფხულო ბანაკი. უკანასკნელ წელიწადში წველადობა საგრძნობლად ფერმაში ერთიორად გადიდდა და საშუალოდ თვითეულ ძროხაზე 4 ათას კილოგრამს აღწევს.

მეურნეობის სხვა დარგებშიც ფართოდ ვიყენებთ მეცნიერებისა და პრაქტიკის მოწინავეთა გამოცდილებას. ტორფნეშმპალის ქოთნებში საადრეო კომბოსტოს ჩითილის გამოყვანამ შესაძლებლობა მოგვცა მოსავალი ერთიორად გაგვიდიდებინა და იგი ჰექტარზე 70 ტონამდე აგვეყვანა. კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დავრგეთ და განვახორციელეთ მისი დამუშავების სრული მექანიზაცია. ამ კულტურის მოსავალიც მკვეთრად გადიდდა.

დიდი ყურადღება ექცევა შრომის აღრიცხვას და შრომადღეების სწორად დარიცხვას. იანვრიდან შემოღებულია ფულადი ავანსების ყოველთვიურად გაცემა. აგვისტოში შრომადღეზე ავანსის სახით გაიცემა 6-დან 7 მანეთამდე. ბევრს იღებენ კოლმეურნეები აგრეთვე დამატებითი ანაზღაურების წესით, რომლის გაცემა წარმოებს პროდუქციის რეალიზაციისთანავე. შარშან კოლმეურნეებმა მარტო დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღეს 600 ტონა ბოსტნეული, ასი სული პირუტყვი, 30 ტონაზე მეტი რძე და 400 ათასამდე მანეთი.

დისციპლინა კოლმეურნეობაში მტკიცეა. თვითეულ ბრიგადას აქვს ზუსტი სამუშაო გეგმა, რომლის შესრულებას კონტროლს უწევს გამგეობა. კოლმეურნეები გაცნობილი არიან მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. უახლოეს ორ წელიწადში დასახულია მინდვრების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა უფრო გავადიდოთ, რათა 1956 წელს შემოსავალი ავიყვანოთ 7,5—8 მილიონ მანეთამდე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონთან, ჩაის „ბორაკზე“, სადაც დარგულია საქართველოს ჩაის საუკეთესო ჯიშები, გაიმართა საქართველოს მეჩაიეების შეხვედრა უკრაინის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეებთან, რომელნიც დიდი ხანია ეჯიბრებიან ერთმანეთს.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირები მერგოლურები ა. ჯიჯავაძე, მ. გოგიტიძე და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი ნ. კალანდაძე თავიანთ უკრაინელ მეგობრებს უამბობენ, თუ როგორ მიიღეს ჩაის უხვი მოსავალი.

ფოტო პ. მაკრუშენკოსი.

ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე საწარმოები

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ განიხილეს შახტების, ჭრილების, შახტმშენებელი სამმართველოების, სამთო-გვირაბგამყვანი ბრიგადების კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1954 წლის ივლისის შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი პრემიები მიეკუთვნათ: „როსტოვუგოლის“ კომბინატის „ნესვეტაიანტრაციტის“ ტრესტის „დასავლეთის კაპიტალურ“ შახტს, „ესტონეთფიქალის“ კომბინატის „კუკრუზეს“, „მოლოტოვუგოლის“ კომბინატის „კიზელუგოლის“ ტრესტის ლენინის სახელობის, „მოსკოვუგოლის“ კომბინატის „კრასნოარმეისკუგოლის“ ტრესტის № 32 და № 33 შახტებს, „ჩისტიაკოვანტრაციტის“ ტრესტის № 17-ბის შახტს, „სტალინუგოლის“ კომბინატის „შახტიორსკანტრაციტის“ ტრესტის № 4-9 შახტს; ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის „პერვომაისკუგოლის“ № 100 ტრესტის შახტთმმართველობას, „სვერდლოვსკუგოლის“ კომბინატის „ვახრუშევუგოლის“ ტრესტის № 2 ჭრილს, „ჩელიაბინსკუგოლის“ კომბინატის „კორკინუგოლის“ ტრესტის № 1 ჭრილს.

20 შახტს, ჭრილსა და ორ სამთო-გვირაბგამყვან ბრიგადას მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. (საკლესი).

შემოდგომა-ზამთრის სეზონის ტანისამოსი და ფეხსაცმელი

მომდინარე წელს შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის 135-ზე მეტი ახალი ფასონის ტანისამოსი აითვისეს მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა.

ფაბრიკა № 3 უშვებს მამაკაცის დემისეზონურ პალტოს და საზამთრო ბეწვისსაყელოიან მოკლე პალტოს. ახალი მოდელების ქალისა და ბავშვის ტანისამოსს აწარმოებენ სავაჭრო ორგანიზაციებს № 20 და № 22 ფაბრიკები. მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა № 5 სამკერვალო ფაბრიკის პროდუქციაზე. ეს არის კაპიუშონიანი პლუშის პალტო ბაგის ასაკის ბავშვებისათვის. ბავშვის შალის კოსტიუმების კერვა დაიწყო № 13 ფაბრიკამ.

მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო საწარმოები მარტო 1954 წლის მეოთხე კვარტალში გამოუშვებენ 100 მილიონი მანეთის შემოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის სხვადასხვა სახეობის ტანისამოსს.

შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის ყელიანი, უყელო ფეხსაცმლისა და ღია ტუფლების ახალ მოდელებს უშვებენ ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის ფეხსაცმლის საწარმოები. № 18 ფაბრიკა კერავს ქალის მოდელის ფეხსაცმელს — ბეწვმოყოლებულ დამბუნებულ ყელიან ფეხსაცმელს, სხვადასხვა ფასონის დახურულ ტუფლებს ტყავის ლანჩით. № 3 ფაბრიკამ დაიწყო ბავშვის რანტიანი ტუფლების კერვა. მოსკოვის მაღაზიები მიიღებენ ავრეთვე თბილ ფლოსტებს. (საკლესი).

სატელევიზიო ცენტრის მშენებლობა

ბაკო, 3 სექტემბერი. (საკლესი). გუშინ აქ საძირკველი ჩაეყარა საქალაქო სატელევიზიო ცენტრს. მისი პროექტი შეიმუშავა კავშირგაბმულობის სამინისტროს სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტის ინჟინერთა ჯგუფმა.

სატელევიზიო ცენტრის ძირითად შენობაში მოთავსდება ექვსი სტუდია, რედაქციისა და მსახიობთა ოთახები. ამ შენობის გვერდით აიგება მაღალი სატელევიზიო ანტენა, რომელიც გამოსახულებას გადასცემს ასამდე კილომეტრ მანძილზე.

ინსტრუქტორების თეორიული სწავლება

ზესტაფონი. („კომუნისტის“ კორ.). პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით საქართველოს კ. პ. ზესტაფონის რაიკომთან მიმდინარე წლის ივლისიდან მუშაობას შეუდგა მუდმივმოქმედი სემინარი. მეცადინეობა დღემდე 3-ჯერ მოეწყო. სემინარზე მოსმენილ იქნა ლექციები თემებზე — „პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები“ და „საერთაშორისო მდგომარეობა“.

გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოსმენილ იქნა მტს-ის ზონის ინსტრუქტორის ს. გორდეზიანის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოეწყო მის ზონაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახლებურად მუშაობა, პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის გაუმჯობესებით როგორ იზრდება კომუნისტთა და კოლმეურნეთა აქტივობა სოფლის მეურნეობის ახალი ძმლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

აგიტმხატვრული ბრიგადები საზაფხულო საძოვრებზე

წულუკიძე. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ჩამოაყალიბა აგიტ-მხატვრული ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებული არიან ლექტორ-პროპაგანდისტები და კულტურის სახლის მუშაკები. აგვისტოს დასაწყისში ბრიგადა გაემგზავრა ასხის მთის საძოვრებზე მყოფ მეცხოველეობის მუშაკებთან და მოაწყო მათთვის მხატვრული გამოსვლები. გამოსვლებს წინ უძღოდა ლექციები. ლექტორმა ს. ჭოლოკავამ მწყემსებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „მსოფლიოს ორი ბანაკი და საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისა და უმიშროების უზრუნველსაყოფად“, დ. უგულავამ — „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა“, შ. კალანდარაშვილმა — „მეცხოველეობის აღმავლობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების გადაუდებელი ამოცანაა“.

საძოვრებზე აგიტმხატვრულმა ბრიგადამ გამოუშვა საველე კედლის გაზეთები, მიაწოდა მწყემსებს ახალი ჟურნალები და გაზეთები.

კაბრეთი. 20 ივლისიდან თრიალეთისა და მთათუშეთის მთებში საზაფხულო საძოვრებზე მყოფ რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში მოეწყო აგიტმხატვრული ბრიგადების გასვლა. თრიალეთის მთებში აგიტმხატვრული ბრიგადა გამგზავრა კარგად გაფორმებული ავტომანქანით და თან წაიღო კინოდანადგარი, ამასთან მეცხოველეებს მიუტანა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მოისმინა ფერმა სოფლების ლამბალი ლენინის, ყანდაურის სტალინის, ითარმელოს მოლოტოვის, კაჭრეთის კიროვის, კაკაბეთის მახარაძის, ბოგდანოვკის სტალინის, შიბლიანის დიმიტროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობების მწყემსებს. ლექცია-მოხსენებათან ერთად ბრიგადამ მოაწყო კონცერტები, ხოლო საღამოობით უჩვენებდა კინოსურათებს.

მთათუშეთში გაგზავნილმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მწყემსებს მიუტანა ახალი ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, მეცხოველეობის ფერმებში გამართა ლექცია-მოხსენებები და საღამო-კონცერტები.

ბორი. რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებისა და მექანიზატორებისათვის კულტურული მომსახურების გასაწევად შექმნა ოთხი აგიტმხატვრული ბრიგადა, რომლებშიც მონაწილეობენ სარაიონო კულტურის სახლის დრამატული, სიმღერის, ცეკვისა და სხვა თვითმოქმედი წრეების წევრები.

აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები მინდვრად კოლმეურნეებთან მართავენ კონცერტებს, აწყობენ მხატვრულ კითხვას, ატარებენ ლექციებს, მოხსენებებს და საუბრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაზე.

მახარაძის რაიონი. სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე კასიანე თავაძე (მარცხნიდან მეორე) ესაუბრება მეჩაიეებს გამოფენაზე მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს ჩაის ფოთლის კრეფაში

წალენჯიხის რაიონის ეკონომიკაში ჩაის წამყვანი ადგილი ეკუთვნის. ამიტომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მტკიცედ ჩაუდგნენ სათავეში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლას, განუხრელად აამაღლონ ამ კულტურის მოსავლიანობა. 1950 წლიდან რაიონში მიღწეულია ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ყოველწლიური ზრდა. 1950 წელს ჰექტარზე სამუალოდ მიღებულ იქნა 1.580 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1.420 კილოგრამისა. 1951 წელს ჰექტარზე 1.600 კილოგრამის ნაცვლად მოიკრიფა 1.695 კილოგრამი, 1952 წელს ჰექტარზე მიიღეს 1.730 კილოგრამი, ხოლო გასულ წელს საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 1.843 კილოგრამს მიაღწია. მიმდინარე სამეურნეო წელს წალენჯიხელებმა სახელმწიფოს ჰექტარზე გეგმით 2.168 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი უნდა ჩააბარონ.

ჩაის ფოთლის კრეფაში რაიონში დაწინაურდა სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია 21 კომუნისტს აერთიანებს. ყველა მათგანი კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობს. კომუნისტების ავანგარდულ როლს მოწმობს ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობა ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს.

კომუნისტები კოლმეურნე გლეხებს შრომაში პირად მაგალითს უჩვენებენ. დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი შ. ბელქანია ხელმძღვანელობს. ამხ. შ. ბელქანია 18 წელია ამ კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობს და ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. გასულ წელს ამხ. ბელქანიას ბრიგადამ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 132 პროცენტით შეასრულა და პრემია-დანამატის სახით 25.360 მანეთი მიიღო.

მეჩაიე კომუნისტი ე. მოლაშხიას მისთვის მოსავლელად მიჩენილი 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამის ნაცვლად დღემდე 2.200 კილოგრამი ფოთოლი აქვს მოკრეფილი. გასულ წელს მისმა ოჯახმა 1.467 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან მარტო ფულად 18 ათასი მანეთი მიიღო.

პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი. პარტიულ კრებებზე რეგულარულად ისმენენ თვიური, კვარტალური და წლიური გეგმების შესრულების საკითხებს.

კოლმეურნეობაში კარგად არის დაყენებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ამ საქმეში ჩაბმული არიან სოფლის სკოლის მასწავლებლებიც. დაწყებითი სკოლის მასწავლებელი კომუნისტი პ. ჭანია № 6 ბრიგადის აგიტატორად მუშაობს.

საშუალო განათლების მქონე კომუნისტი შ. ჭანია, რომელიც ფიზიკურად მუშაობს კოლმეურნეობაში, პარტიულმა ორგანიზაციამ № 5 ბრიგადის აგიტატორად დაამტკიცა. ახლა იგი კოლმეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე აგიტატორად ითვლება.

№ 1 ბრიგადაში კარგად აქვს მოწყობილი სააგიტაციო მუშაობა საცდელი ნაკვეთის აგრონომს შ. მოლაშხიას. მის საუბრებს კოლმეურნეები ყოველთვის დიდი ინტერესით ისმენენ.

აგიტატორები ჩაის პლანტაციებში სისტემატურად უშვებენ საველე გაზეთებს. პარტიული ორგანიზაცია კარგად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც გაშლილია რგოლებსა და ბრიგადებს შორის. თვით კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია წალენჯიხის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობასთან.

აღსანიშნავია სოფელ ჯგალის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ლევან კვარაცხელია) კარგი მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად განიხილავს, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის, ისე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საკითხებს.

მიმდინარე წლის 26 მაისს საერთო კრებაზე კომუნისტებმა განიხილეს კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის და კომუნისტებისა და მათი ოჯახის ავანგარდული როლის საკითხი. კომუნისტებმა ი. ჯალაღონიამ, ს. კვარაცხელიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ კომუნისტების ე. კვარაცხელიას, ხ. ბელქანიას, პ. კვარაცხელიას ოჯახები მონაწილეობას არ იღებენ საკოლმეურნეო შრომაში. დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე აღნიშნული კომუნისტების ოჯახები ამქამად აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკოლმეურნეო შრომაში.

სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კარგი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო დროულად და მაღალხარისხოვნად სრულდება. კომუნისტები უპარტიო კოლმეურნეებს მუშაობის კარგ მაგალითს უჩვენებენ. ასეთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები წალენჯიხის რაიონში ერთეული როდია. ყოველივე ეს კოლმეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მიახლოებისა და მათდამი დახმარების გაძლიერების შედეგია.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საკდესის განცხადება

25 აგვისტოს ლონდონში გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის საზღვაო სამინისტროს განცხადება, რომელშიც მოყვანილი იყო სრულიად დაუსაბუთებელი მონაცემები საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ. განცხადებაში უხვად იყო მონაჭორები საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობის გეგმების, მათი რაოდენობის და სხვ. შესახებ.

ინგლისის ოფიციალური უწყების განცხადება გახდა საბაბი ხმაურისა, რომელიც ინგლისის პრესამ ატეხა. თითქოს ბრძანებით, მთელმა რიგმა ინგლისურმა გაზეთებმა „დეილი მეილმა“, „დეილი ექსპრესმა“, „ნიუს ქრონიკლმა“ და სხვ., აგრეთვე ინგლისის რადიომ გააჩაღეს კამპანია ამ განცხადების გარშემო და ზედიზედ მოჰყავდათ ახალ-ახალი მონაჭორი.

ყოველივე ეს ეჭვს არ ტოვებს, რომ დიდი ბრიტანეთის საზღვაო სამინისტროს განცხადება და მის შემდეგ დაწყებული კამპანია პრესაში წამოწყებულია იმ წრეების ინიციატივით, რომლებიც ცდილობენ მხარი დაუჭირონ „ძალის პოზიციის“ სახელგატეხილ პოლიტიკას და მოითხოვენ გამალებული შეიარაღების განგრძობას.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებს, რაც კი ძალუძს, იმისათვის, რომ შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა და ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებას, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეები [illegible] — ცდილობენ გააფუჭონ [illegible] გადაუკეტონ საერთაშორისო [illegible]ებზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა.

დამახასიათებელია, რომ აღნიშნულ კამპანიას თან ახლავს მოთხოვნები დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ასიგნებათა გადიდების შესახებ, ამასთან მთელი რიგი გაზეთები აშინებენ ინგლისელ გადასახადის გადამხდელებს, რომ ინგლისს „საფრთხე მოელის“ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მხრივ. ერთი შეედური გაზეთის მოხდენილი თქმით, ინგლისის საზღვაო უწყებას, როგორც ჩანს, „ესაჭიროება ზურგის ქარი“ სამხედრო-საზღვაო მშენებლობის საკუთარი პროგრამისათვის.

ძნელი არ არის აგრეთვე იმის შენიშვნა, რომ ამით ცდილობენ ყურადღება ჩამოაცილონ ხალხთა სამართლიან და სულ უფრო მტკიცე მოთხოვნებს — აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, შემცირდეს სახელმწიფოთა შეიარაღება, აღიკვეთოს ახალი ომის საფრთხე.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ დიდი ბრიტანეთის საზღვაო სამინისტროს ცნობა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და იმ მიზნების შესახებ, რომლებსაც მას მიაწერენ, უხვში მონაჭორია.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რ ე ვ ი ზ ო რ ი“

„კომუნისტის“ 9 ივნისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თბილისის სახელმწიფო ცირკის ბუფეტის გამგე ი. მაისურაძე საჩვენებელი რესტორნების ტრესტის რევიზორ გ. მალაღურაძესთან ერთად სამუშაო საათებში ქალაქგარეთ სასადილოში წავიდა და იქიდან დაბრუნების შემდეგ საკუთარი ავტომანქანით ყუჩაში მოძრაობის წესები დაარღვია. როგორც საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ს. ზალდასტანიშვილი გვაცნობებს, საჩვენებელი რესტორნების ტრესტის დირექტორის ბრძანებით შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მაისურაძეს გამოეცხადა საყვედური. რაც შეეხება რევიზორ გ. მალაღურაძეს, მის მიმართ წაყენებული ბრალდება შემოწმებით არ დადასტურდა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საჩხერის რაიონიდან სოფლკორი გვატყობინებდა სოფელ შომახეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის, საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-დატაცებისა და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ა. ნოზაძის დანაშაულობათა შესახებ.

კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა შეამოწმა პარტიის რაიკომთან ერთად, დადასტურდა. საკითხი განიხილა პარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ.

სოფელ შომახეთის კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ჩაშლისა და საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-დატაცებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ა. ნოზაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

კოლმეურნეობის მოანგარიშე ს. კაპანაძე თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის და ანგარიშგება-აღრიცხვის ჩაშლისათვის მოიხსნა სამუშაოდან. კოლმეურნეობის საწყობის გამგე ს. დარბაიძე, როგორც საკოლმეურნეო ქონების მიმბარებელი და გაფლანგვა-დატაცების ხელშემწყობი, გაირიცხა პარტიის რიგებიდან და მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

* * *

გაზეთის მკითხველი ვ. სებისკვერაძე რედაქციას სწერდა, რომ ორჯონიკიძის რაიონის სოფელ უბისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. გამცემლიძე უყურადღებას იჩენს, კოლმეურნეობაში მოეწესრიგებელია შრომა, ირღვევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკური წესები.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. მ. სამხარაძე რედაქციას ატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ნ. გამცემლიძეს სუსტი მუშაობისა და უყაირათობისათვის გამოუცხადა საყვედური და დასახა ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან

რუსთავის კომუნისტები მეჯი ლითონისათვის ბრძოლაში

მეტალურგიული მრეწველობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალგაზრდა დარგია. ხოლო სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის პირმშოა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქარხანამ უკვე უდიდესი მუშაობა შეასრულა. ასეულ ათასობით ტონა რუსთაველი მილები — ქარხნის საბოლოო პროდუქცია — დაუსრულებელ ნაკადად მიდის ჩვენი სამშობლოს საწარმოებში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებში; მათ იყენებენ ნავთობის მრეწველობაში, ავტომობილმშენებლობაში, ტრაქტორმშენებლობაში და მრეწველობის სხვა დარგებში. ლითონის წარმოება წარსულ წელთან შედარებით ბევრად გადიდდა. ქარხანა დღითიდღე იზრდება, ფართოვდება, სულ უფრო მეტად აღჭურვილი ხდება მოწინავე საბჭოთა ტექნიკით

მიმდინარე წლის დამდეგს რუსთავის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა აამუშავეს საგლინავი დგანი „400“, ხოლო ერთ თვეზე ცოტა ხნის წინათ მწყობრში ჩადგა პირველი ბრძმედი, რითაც დამთავრდა ქარხნის სრული მეტალურგიული ციკლის მშენებლობა.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ახლა უკეთ მუშაობს. ქარხნის კოლექტივმა მეტალურგიის ტექნიკაში ზოგიერთი რამ პრინციპულად ახალი შეიტანა, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს წარმოების მოწინავეთა კოლექტივი, რომელიც თავის რიგებში ათასობით კაცს ითვლის. ბევრ მოწინავეს, როგორიც არიან მებრძმედეები: ვ. კობერიძე, ა. ყაზარაშვილი, მ. კიკვაძე, მეფოლადეები შ. კუხალეიშვილი, ი. მეტრეველი, ზ. კვახაძე, მგლინავები ი. წერეთელი, ვ. კერვალიძე, პ. ბენდიანიშვილი და სხვები, კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქალაქში, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი ჩვენი სამშობლოს მეტალურგიულ მრეწველობაშიც.

მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის გეგმა ქარხანამ ვადამდე შეასრულა, გეგმის გადამეტებით მისცა სახელმწიფოს რამდენიმე ასეული ათასი ტონა ფოლადი, ნაგლინი, მილნამზადი, მილები. ეს წარმატებანი თავისთავად როდი მოსულა. ისინი შედეგია ქარხნის მთელი კოლექტივის დაძაბული შრომისა, შედეგია მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისა.

რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მთავარ ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას. რუსთავის კომუნისტთა ძალები უწინარეს ყოვლისა მიმართულია მთავარი საწარმოო ამოცანების გადასაწყვეტად. აი ერთერთი მაგალითი მრავალთაგან: მარტენის საამქრო ივნისსა და ივლისში ჩამორჩა, სახელმწიფოს რამდენიმე ასეული ტონა ფოლადი დააკლო. ადგილზე მდგომარეობის ღრმად შესწავლამ ცხადჰყო, რომ საამქროში დაქვეითდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, საამქროს პარტიული ორგანიზაცია მეტ ყურადღებას მიმდინარე სამეურნეო საქმეებს აქცევდა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა და ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა საამქროს ცვლებში მოაწყეს კრებები, რომლებზეც გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

როგორი იყო ეს ღონისძიებანი? პარტიის საქალაქო კომიტეტმა საამქროს პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიაპყრო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, კოლექტივში კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლას, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, ყველა მუშის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის გაძლიერებას.

კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შემდეგ გაჩაღდა ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. პარტიის საქალაქო კომიტეტი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ჩასწვდა თვითეული ცვლის, ბრიგადის მუშაობას. საამქროს მუშაობის საკითხი განხილულ იქნა კომუნისტთა კრებაზე. საერთო კრებაზე ფოლადმსხმელთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის მეორე ნახევარში 20 პროცენტით შეამციროს ლითონის დანაკარგი და წუნი წლის პირველ ნახევართან შედარებით, დნობის საშუალო ხანგრძლივობა დაიყვანოს 9 საათამდე და 30 წუთამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 საათისა და 20 წუთისა, მარტენის ღუმელების ცხელი და ცივი რემონტის ხანგრძლივობა შეამციროს 2,4 პროცენტით, ღუმელის ქვედის გამძლეობა გაადიდოს 10 დნობით, ხოლო დნობათა რიცხვი 200-დან აიყვანოს 270-მდე.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობამ მალე თავისი შედეგი გამოიღო. უკვე ივლისის დამლევს და აგვისტოში საამქრომ დაძლია ჩამორჩენა და აგვისტოს მარტო 20 დღის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით ტონა ფოლადი. მეტი ლითონისათვის ბრძოლაში მოწინავენი იყვნენ და არიან კომუნისტები. მაგალითად, შ. კუხალეიშვილმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 325 ტონა ლითონი, შ. შუბითიძემ — 235 ტონა, ზ. კვახაძემ — 196 ტონა, ხოლო ა. ფანცულაიამ — 188 ტონა.

ასეა არა მარტო მარტენის საამქროში. მაგალითად, საბრძმედე, მილსაგლინავი, ფასონურ-სამსხმელო და სხვა საამქროების პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაოდ დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება შეიძინეს, ისწავლეს სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის სწორად განხორციელება, თავიანთი საამქროების წარმატებითი მუშაობის უზრუნველყოფა.

ამ მხრივ აღსანიშნავია, მილსაგლინავი. საამქროს პარტიული ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელობით საამქრო წლის დამდეგიდან ყოველთვიურად ანაღდებს საწარმოო გეგმებს და გადაწყვეტილ წლიური გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრამდე.

საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია ქარხნის ყველაზე ახალგაზრდა საამქრომ — საბრძმედე საამქრომაც. საბრძმედე წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, მომჭირნეობისათვის ბრძოლის, მებრძმედეთა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის საკითხები მუდამ დგას ამ საამქროს პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ყოველივე ამან შედეგიც კარგი გამოიღო. თუჯის წარმოება ამჟამად გადიდდა 576 ტონამდე დღეღამეში, ხოლო ცალკეულ დღეებში 600 ტონასაც კი აღწევს. მნიშვნელოვნად შემცირდა თუჯის დანაკარგი, მიღწეულია კოქსის, ბადნის და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვა.

უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქარხნის პარტიულ კომიტეტთან ერთად საამქროებში მოაწყო კომუნისტთა კრებები და წარმოების მოწინავეთა საერთო-საქალაქო შეკრება. მარტენის საამქროში მოეწყო პარტჯგუფორგების თათბირი. ამ კრებებზე აღებულ იქნა კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებას. მაგალითად, ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა გადაჭარბებით შეასრულოს მეტალურგიული წარმოების წლიური გეგმა საწარმოო საამქროებში და გეგმის გადამეტებით გამოუშვას ათასობით ტონა ფოლადი, ნაგლინი, მილები, წლის ბოლომდე დაზოგოს 1.000 ტონა კაზმი, 400 ტონა მაზუთი, 3,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მიაღწიოს 1.500 ტონა ლითონის ეკონომიას, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 7 პროცენტით, გეგმის გადამეტებით მოამზადოს სხვადასხვა პროფესიის 150 მუშა, აღმოფხვრას ჩამორჩენა სანმენელობაში.

ქარხანა ეჯიბრება მოძმე აზერბაიჯანელ მეტალურგებს. თავიანთ ვალდებულებებში რუსთავის მეტალურგები ითვალისწინებენ გაადიდონ მარტენის ღუმელების გამძლეობა, გაზარდონ ფოლადის მიღება ღუმელის ერთ კვადრატულ მეტრ ქვედზე, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, დაზოგონ ლითონი, სამბობი, ელექტროენერგია და სხვ. საამქროთა პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან ამ შესანიშნავ შეჯიბრებას, რაზმავენ მეტალურგებს ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

პარტიის საქალაქო კომიტეტი მუდამ ყურადღებით ეკიდება აგრეთვე საინჟინერო-ტექნიკური კადრების განაწილების საკითხებს, ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ სპეციალისტთა ძირითადი მასა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე იყოს თავმოყრილი. საქალაქო კომიტეტი ახლა რეგულარულად აწყობს პარტორგანიზაციების მდივნების სემინარებს, უფრო ხშირად იწვევს პარტჯგუფორგებს, სისტემატურად ამოწმებს ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივების და პარტიული კრებების გადაწყვეტილებების შესრულებას.

მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ რუსთავის მეტალურგებმა გული უნდა დაიმშვიდონ მიღწეული შედეგებით. პირიქით, თავისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, სამუშაო დღის შემჭიდროებით სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი კვლავ უნდა ავლინებდეს უდიდეს რეზერვებს შრომის ნაყოფიერების ზრდის მისაღწევად.

მეტალურგიულ ქარხანაში ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. ქარხნის ბევრ საამქროში, განსაკუთრებით ისეთებში, როგორიც არის სარემონტო-მექანიკური, რკინიგზის, ელექტროსარემონტო საამქროები, ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონე კვლავ დაბალია, რაც პროდუქციის უთანაბროდ გამოშვებას, იერიშობანას იწვევს.

ქარხანაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ ინერგება მუშაობის რეგლამენტირებული გრაფიკი, საკმაო ყურადღება არ ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტური მუშაობის ამ ნაკად მეთოდს.

საამქროების პარტიული ორგანიზაციები, ქარხნის პარტიული კომიტეტი და თვით საქალაქო კომიტეტიც ხშირად გვერდს უვლიან ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. რუსთავის მეტალურგებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მძიმე ინდუსტრია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საფუძველია, რომ ულითონოდ ვერ იარსებებს ეკონომიკის ვერცერთი დარგი, ვერ დავამზადებთ ვერცერთ მანქანასა და ჩარხს, ფართო მოხმარების ვერცერთ საგანს.

ჩვენი ამოცანა ამქამად ის არის, რომ მოვაწყოთ ბრძოლა ქარხანაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. რაც უფრო მაღალი იქნება პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, მით უფრო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ყველა კომუნისტი მეტი ლითონისათვის ბრძოლაში.

ვ. ჩალაძე.
საქართველოს კომუნისტური პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

გავაძლიეროთ საშეფო დახმარება სოფლისადმი

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „თბილისის, ქუთაისის, სოხუმის და ბათუმის პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა მტს-ებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებზე შეფობის განხორციელების დარგში“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ლელაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ალაპარაკეს რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებულ ბრძოლაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პარტიის ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნით იმ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს, სადაც თავმოყრილია მძლავრი სამრეწველო საწარმოები, დიდი კულტურული დაწესებულებანი, არის მუშებისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები.

სოფლისადმი დახმარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა ქალაქების სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შეფობა კოლმეურნეობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებზე.

რესპუბლიკის საწარმოთა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მრავალი კოლექტივი ქმედითს დახმარებას უწევს საკოლმეურნეო სოფელს. საწარმოთა კოლექტივებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ იმისათვის, რომ მტს-ებში დაინერგოს მოწინავე ინდუსტრიული კულტურა, გაუმჯობესდეს მათი საწარმოო ბაზა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე ხორციელდება.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ მარტყოფის მტს-ს, რომელსაც შეფობას უწევს, შეუკეთა და მოუწყო სახელოსნო. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშებმა შეაკეთეს დიდმის მტს-ის სახელოსნოს შენობა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელმაც შეფობა აიღო ორ მტს-სა და ორ კოლმეურნეობაზე, ყოველდღიურად ზრუნავს მათი საჭიროებისათვის. ავტოქარხნელები დაეხმარნენ მათ ავტომანქანებისა და მექანიკური სახელოსნოების მოწყობილობის შეკეთებაში, ინსტრუმენტისა და ტრაქტორის მისაბმელის დამზადებაში.

საშეფო მტს-ებსა და კოლმეურნეობებს დახმარებას უწევენ აგრეთვე ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის „მაღაროელის“ კოლექტივი და სოხუმის ქალაქის სამრეწველო კომბინატი.

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის საშეფო კოლმეურნეობისათვის დახმარების გასაწევად.

პლენუმზე საშეფო მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჯლანტიაშვილმა, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ამხ. ქაჯაიამ და სხვებმა.

სოფლისათვის საშეფო დახმარების გასაძლიერებლად, როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, კიდევ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობაა. არ შეიძლება საშეფო დახმარება გადავაქციოთ კამპანიად და დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სამეურნეო დახმარებით. ამ მიმართულებით ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი ქალაქების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მოსეიანმა და სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. ხორავამ ილაპარაკეს სოფლად საშეფო მუშაობაში ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მონაწილეობაზე. მაგალითად, თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივი შეფობას უწევს კასპის რაიონის შვიდ კლუბს. მსახიობები ეხმარებიან ამ კლუბების მხატვრული თვითმოქმედების წრეების რეპერტუარის შერჩევაში, სპექტაკლების დადგმაში.

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლმა გარეუბნის რაიონის სასოფლო თვითმოქმედი წრეებისა და მთელი რიგი კოლმეურნეობების ბიბლიოთეკების მუშაკთათვის მოაწყო სემინარი მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საშეფო დახმარებას უწევენ სოფელს აგრეთვე თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრი, თბილისის სანიტარული კულტურის სახლი და სხვ. მაგრამ სოფლად საშეფო მუშაობაში ჯერ კიდევ ჩამბალი არ არიან მთელი რიგი თეატრები, მუზეუმები, ქალაქის კლუბები.

ქარელის მტს-ის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ძამანაშვილმა და თელავის მტს-ის დირექტორმა ამხ. ჩარკვიანმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საწარმოთა შეფობაში კოლმეურნეობებსა და მტს-ებზე სამეურნეო დახმარება შეხამებულ უნდა იქნას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლასთან.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საშეფო დახმარება ყველგან კარგად არ არის მოწყობილი. შორეული სოფლები ვერ გრძნობენ ამ დახმარებას. მაგალითად, თბილისის ბევრმა საწარმომ აიღო შეფობა ქალაქის მახლობლად მდებარე კოლმეურნეობებსა და მტს-ებზე. არანორმალურია აგრეთვე რამდენიმე ორგანიზაციის შეფობა ერთ და იმავე კოლმეურნეობასა და მტს-ზე. ამის შედეგად გარეუბნის რაიონის 18 კოლმეურნეობას შეფობას უწევს თბილისის 43 საწარმო და სხვა ორგანიზაცია.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ბევრმა ხელმძღვანელმა დაივიწყა თავის დროზე ნაკისრი ვალდებულება სოფლად საშეფო მუშაობის გაჩაღების შესახებ. ეს იმას იწვევს, რომ ვალდებულება ქაღალდზე რჩება. მაგალითად, „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო მშენებლობის სამმართველომ კონკრეტულად არაფერი გააკეთა გარეუბნის რაიონის სოფელ დიღმის კოლმეურნეობისათვის დახმარების გასაწევად, რომლის შეფობა მან იკისრა. სიღნაღის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს შეფობას უწევს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია. მაგრამ აქედან რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ არავინ ჩასულა.

ასეთივე ნაკლოვანებები აღნიშნა აკადემიკოს პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მაზმანიშვილმა ბათუმის მთელ რიგ საწარმოთა შეფობის პრაქტიკიდან.

სოფლისადმი დახმარების საკითხი ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მაგრამ, როგორც სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშაობისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კალანდაძემ აღნიშნა თავის გამოსვლაში, პროფკავშირთა ზოგიერთი რესპუბლიკური კომიტეტი, მაგალითად, საშინ მასალათა მრეწველობის პროფკავშირი, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირები, რატომღაც არ მონაწილეობენ სოფლად საშეფო მუშაობაში.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი საქალაქო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება საშეფო მუშაობას ამოწურავს კონცერტების მოწყობითა და მხატვრული ბრიგადების საგასტროლო გამგზავრებით. ეს კერძოდ ეხება ქუთაისის მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრს კოლექტივს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ამხ. ალავერდაშვილმა ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომლის გაწევაც შეუძლიათ ქალაქის შეფ ორგანიზაციებს სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მოწინავე გამოცდილების ფართო პროპაგანდაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. მამამთავრიშვილმა იილაპარაკა სოფლად საბუნებისმეტყველო ცოდნის პროპაგანდის გაძლიერების საკითხებზე.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დასახულია სოფლად საშეფო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. (საქდესი).

თბილისი. მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში განვლილი თვეების საწარმოო დავალებათა შესრულებაში დაწინაურდა მესამე საამქროს კოლექტივი, რომელსაც ა. ფეიქრიშვილი ხელმძღვანელობს. **სურათზე:** ა. ფეიქრიშვილი (მარცხნივ) ამოწმებს მკერავის ა. შაიშმელაშვილის მუშაობას.

ფოტო შ. გოქაძისა.

სამტრედიის აგრეშუმის ქარხანა ფაბრიკაში

ფაბრიკის კეთილმოწყობა

სამტრედიის აბრეშუმის მაფსაღებ ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა კეთილმოწყობას. აქ დამთავრდა ტერიტორიის მოასფალტება, გაშენდა ახალი ყვავილნარები, მოეწყო კანალიზაცია, დამთავრდა მექანიკური საამქროს რეკონსტრუქცია-გაფართოება. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინების, საამქროებისა და ადმინისტრაციის შენობის კეთილმოწყობისათვის.

მუშები კვალიფიკაციას იმაღლებენ

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქ მოწყობილია ტექნიკური და საწარმოო სწავლების კურსები. კურსებს ხელმძღვანელობს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ნ. გაშაკიძე. ამას წინათ ეს კურსები წარმატებით დაამთავრა 22 მუშამ.

ფაბრიკის ჯანმრთელობის პუნქტი

ფაბრიკის 600-ზე მეტ მუშა-მოსამსახურეს უწევს მომსახურება აქ არსებული ჯანმრთელობის პუნქტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი ზ. ნაცვლიშვილი. პუნქტი მოთავსებულია სამ დიდ ნათელ ოთახში, მას ემსახურება ორი ექიმი და სამი ექიმის თანაშემწე. პუნქტი უზრუნველყოფილია სამკურნალო ხელსაწყოებითა და აპარატურით.

საბზურეები მუშა-მოსამსახურეებს

აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში წელს 40-მდე მოწინავე მუშა-მოსამსახურემ დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებსა და სანატორიუმებში. სექტემბერსა და ოქტომბერში კიდევ გაიცემა 10 საბზური.

ემზადებიან ოლიმპიადისათვის

გაცხოველებით ემზადება მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი გ. კვანტალიანი, ქორეოგრაფი ბ. მიქელაძე), რომელშიც 50-მდე მუშა-მოსამსახურეა გაერთიანებული.

ვ. გოდუაძე.

დაუვიწყარი დღეები

მიმდინარე წლის ზაფხულს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი რაიონებს ეწვია. პირველად თელავში ჩავედით. რკინიგზის სადგურშივე გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. ასეთი გულღია მასპინძლობა აღელვებს ყველა ჩვენგანს, უორკეცებს სურვილს სიყვარულით ემსახუროს მშრომელ მოსახლეობას.

შესანიშნავია თელავის კავკასიონის მთებიდან და ხავერდოვანი ალაზნის ველიდან მონაბერი ნიავი ნაზად ეალერსება ადამიანს და სუნთქვას უადვილებს. კავკასიონის მთები ამაყად გადმოჰყურებენ ალაზნის ველს და იშვიათ სილამაზეს უქმნიან მას. ეს თვალუწვდენი ბარაქიანი ველი დღის განმავლობაში მრავალგზის იცვლის ფერს,.. ამით იზიდავს იგი მგოსნებსა და მხატვრებს. ბევრ მაღლმოსილ პოეტს აუწერია თავის სტრიქონებში ცხოველმყოფელობა ალაზნისა და ბევრ უზადო მხატვარს სიყვარულით ჩაუქსოვია ტილოში დიადი ალაზნის ველის ნაირფეროვნება.

თელავს ამშვენებს ერეკლე მეორის სასახლე. ერეკლეს სიყვარული ქართველმა ხალხმა დღემდე შეინახა, როგორც გამჭრიახი მხედართმთავრისა, მრავალი ბრძოლის უშუალო მონაწილე საყვარელი ვმირისა, რომელიც სწორუპოვარი იყო ვერაგ მტერთან ბრძოლაში. სამწუხაროა, რომ ეს ძვირფასი ადგილი სათანადოდ არ არის მოვლილი. კარგი იქნებოდა, რომ მის ტერიტორიაზე არ იყოს ამ ისტორიული ძეგლისათვის შეუფერებელი სხვადასხვა დაწესებულებები. ამ მოვლენას უნდა მიაქციონ ყურადღება სათანადო ორგანოებმა და ეს ღირსშესანიშნავი ძეგლი სასურველ მდგომარეობაში მოიყვანონ. რაიონისა და ქალაქის წინანდელი ხელმძღვანელობა თელავის კეთილმოწყობაზე საკმაოდ ზრუნავდა. ახლა კი თანდათან ლამაზდება ქალაქი. ახლახან აშენებული სამ-ოთხსართულიანი სახლები ამშვენებენ მის მთავარ ქუჩას. ინგრევა დღევანდელი ქალაქისათვის შეუფერებელი მოძველებული შენობები და მის ნაცვლად შენდება არქიტექტურულად ლამაზი მრავალსართულიანი სახლები.

ჩვენი თეატრის წარმოდგენები: ყაზბეგის „მოძღვარი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, უშანგი ჩხეიძის „გიორგი საკაძე“, ბ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქოროწინება“, უკრაინელი მწერლის მირგოს „ვვარის დაუსახელებლად“, როცა მიდიოდა, მაყურებელი ყურადღებით ისმენდა მსახიობის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას. ამ განწყობილებით გამხნევებული მსახიობები ცდილობდნენ რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდომოდნენ მაყურებლის გულს, მყარდებოდა სრული კონტაქტი მსმენელებსა და მსახიობებს შორის. ჯერ კიდევ ამ ოცდათი წლის წინათ დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა მისთვის ჩვეული ჭაბუკური სიხალისით მხურვალე მონაწილეობა მიიღო თელავის ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის გახსნაში. მას შემდეგ ჩვენმა დიადმა სამშობლომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო. მკვეთრად ამაღლდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, გაბარდა თელაველ მაყურებელთა გემოვნება. ამ გარემოებამ ჩვენს თეატრსა და მსახიობებს გაუძლიერა პასუხისმგებლობის გრძნობა. ახალ და ყურადღებიან მაყურებელთან შეხვედრით ჩვენმა თეატრმა ბევრი შეიძინა.

სამწუხაროა, რომ თელავის თეატრს შესაფერისი შენობა არა აქვს. სცენის სიპატარავემ და მისმა მოუწყობლობამ ჩვენ თეატრსაც შეუშალა ხელი თავისი დადგმების სრულყოფილად ჩვენებაში.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი თელავში ყოფნის დროს პარალელურ წარმოდგენებსაც მართავდა. სოფელ აკურის კოლმეურნეობაში ჩვენმა თეატრმა რამდენიმე წარმოდგენა გამართა. ეს კოლმეურნეობა მილიონერია. ახლად აშენებული ლამაზი კლუბი ამშვენებს ამ სოფელს. ნათლად ჩანს, რომ სოფლის ხელმძღვანელობა შეუნელებლად იბრძვის როგორც უხვი მოსავლისათვის, ისე სოფლის კეთილმოწყობისათვის და კოლმეურნეთა კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სასიამოვნოა, რომ [illegible] დიდი დარბაზი [illegible] ლად დაბრუნებული [illegible] დიდი ყურადღებით [illegible] თქმულ სიტყვებს და მადლობის ნიშნად მოურავი ტაშით აჯილდოებდნენ მსახიობებს. აკურის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან საუბრის დროს ბევრი სასიამოვნო ამბავი გავიგეთ. გავეცანით კოლმეურნეთა მეშაობას, ამ სოფელში მთავრდება წყაროს წყლის გამოყვანა, შენდება მეცხოველეობის დიდი ფერმა, სოფელს აქვს თავისი საავადმყოფო, აფთიაქი, საშუალო სკოლა და სხვ. აკურელი კოლმეურნეები ალაზი გულით მუშაობენ და ბეჯითი შრომის შედეგიც უხვია. ჩვენმა თეატრმა შეფობა აიღო ადგილობრივ კლუბზე და მზად არის ყოველმხრივ დაეხმაროს ამ გამრჯე და მუყაითი კოლმეურნეობას.

ყვარლის რაიონული ცენტრი ჩვენი ხალხის უსაყვარლესი ადგილია. მის მშვენებას წარმოადგენს დიდი ილიას სახლ-მუზეუმი. მოკრძალებით შევდივართ მუზეუმის ფართო ეზოში. მორიდებით ვათვალიერებთ ძვირფას ექსპონატებს. აქ, ამ სახლში დაიბადა დიდი ქართველი მოაზროვნე, პროგრესული იდეების მქადაგებელი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ყველაფერით ჩანს, თუ რა სათუთი სიყვარულითა და მზრუნველობით ეპყრობა ადგილობრივი მოსახლეობა ამ წმინდა ადგილს.

დიდი ილიას და ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის სამშობლო სოფელი ყვარელი სიყვარულსა და გულისხმიერებას იჩენდა ჩვენი თეატრისადმი. აქ თბილისის მსგავსად გამოსასვლელ დღეს დილით და საღამოთი გვიხდებოდა წარმოდგენების ჩვენება. მაყურებლები მოდიოდნენ ყვარლის ახლო-მახლო სოფლებიდან. შედარებით მცირე დარბაზი ვერ იტევდა მოზღვავებულ ხალხს.

სოფელი შილდა მჭიდროდ დასახლებული და მდიდარია. სოფლის კლუბი საკმაოდ დიდია, მაგრამ საოცრად მოუწყობელია. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც სასოფლო საბჭომ, ისე სსქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ. დიდ უხერხულობას იწვევდა ბატარა „დეტალი“. მაყურებელთა ნაწილს ფეხზე უხდებოდა წარმოდგენის მოსმენა. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ისინი დაძაბულად ადევნებდნენ თვალს სცენაზე მიმხდარ ამბებს და ხშირი ოვაციებით აჯილდოებდნენ მსახიობებს. წარმოდგენის დასრულების შემდეგ გლეხებმა მადლობა გადაგვიხადეს კარგი „სუფთათის“ ჩვენებისათვის. — ჩვენ წაგვიკითხავს „მოძღვარი“, და ახლა ყველა მისი გმირი გაცოცხლებული ვნახეთო...

...ახმეტაში მანქანა მიგვაქროლებს მოასფალტებული გზით, მთელი მიდამო მწვანეშია. გავიარეთ ოყალთო — ქართული აკადემიის უძველესი კერა, ქისტაური — საყვარელი პოეტის რაფ. ერისთავის სამშობლო. ორი ლამაზად ამართული სვეტი გვამცნობს პოეტის დაბადების და ცხოვრების ადგილს. ცოტა მოშორებით მიჩანს პოეტის მიერ დაარსებული სკოლა. სკოლის ეზოს მისი ბიუსტი ამშვენებს ახმეტაში მისვლისას ვხედავთ თეატრში ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ ხალხს. მოდიან ყაზბეგის „მოძღვრის“ სანახავად. აქაც იგივე სურათია: დიდი სურვილი წარმოდგენის ნახვისა. ხანში შესული ორი დედაკაცი მოადგა კარს, რომლითაც მსახიობები სცენაზე შედიან. ისინი სთხოვენ წარმოდგენის ერთ-ერთ მონაწილეს: დედაშვილობას, ყველა ბილეთი დარიგებულია და მოგვიხერხეთ როგორმე ჩვენც დავესწროთ დღევანდელ სანახაობას. ახმეტის კულტურის სახლი, მართალია, ახალი აშენებულია, მაგრამ ეტყობა შენობის მოვლაზე ნაკლებად ზრუნავენ.

...გასაოცრად ამაღლდა ჩვენი მშრომელი გლეხობის კულტურული დონე. ყოველი შემოქმედი, რომელიც რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში მიემგზავრება თავისი ხელოვნების გამოსაჩენად, ვალდებულია ეს გარემოება მიიღოს მხედველობაში.

შალვა ღამბაშიძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

საუგარი პედაგოგიკის თემებზე

ოჯახის როლი მოსწავლეთა პოლიტექნიკურ სწავლებაში

საშუალო სკოლას რომ ამთავრებენ, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ხშირად უძნელდებათ პროფესიის არჩევა, რადგან საკმაო წარმოდგენა არა აქვთ არცერთ საწარმოო სპეციალობაზე, არ ფლობენ პრაქტიკულ ჩვევებსა და ცოდნას. ამასთან, უახლოეს ხანში, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ბევრი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული სამუშაოდ წავა წარმოებაში. ეს ავალებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის.

სწორედ პოლიტექნიკური სწავლების მიზანია მისცეს ახალგაზრდობას წარმოების მეცნიერული პრინციპების ცოდნა, ჩაუნერგოს მოსწავლეებს პრაქტიკული ჩვევები და ამით შეუმსუბუქოს პროფესიის არჩევა.

პოლიტექნიკური განათლება არ ნიშნავს მრეწველობის ბევრი დარგის გაცნობას, ყველა იმ მანქანისა და ტექნოლოგიური პროცესის გაცნობას, რომლებსაც წარმოებაში იყენებენ. მისი ამოცანა ის არის, რომ მცირე, გულმოდგინედ შერჩეულ და მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომ ობიექტებზე უჩვენოს მათ თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის საერთო პრინციპები.

პოლიტექნიკური სწავლების დიდი და სერიოზული ამოცანის განხორციელებაში მთავარი როლი ეკუთვნით ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ხაზვის მასწავლებლებს. მაგრამ მათ არ შეუძლიათ გადაწყვიტონ ასეთი ამოცანა, თუ მოსწავლეები სწორად არ აღიზრდებიან დაწყებითს სკოლაში, თუ მუშაობაში არ არის საჭირო კონტაქტი სხვა მასწავლებლებთან, თუ არ არსებობს სკოლის თანამეგობრობა ოჯახთან და საბჭოთა საზოგადოებრიობასთან.

პოლიტექნიკურ სწავლებას საფუძველი ეყრება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის გაკვეთილებზე, სადაც მასწავლებლები, გადასცემენ რა ახალ სასწავლო მასალას, უამბობენ მოსწავლეებს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში ბუნების კანონების გამოყენების შესახებ, მათთან ერთად განიხილავენ წარმოების მეცნიერულ პრინციპებს.

ცნობილია, რომ ბევრი ბავშვი უკვე სკოლამდელ ასაკში იჩენს დიდ ინტერესს ტექნიკისადმი: მათ შეუძლიათ დიდხან ადევნონ თვალყური ქალაქის ქუჩებში სხვადასხვა მანქანის მუშაობას, დაჟინებით გამოჰკითხონ შოფერს ან ტრაქტორისტს მათი მანქანის მოწყობილობის შესახებ. მაგრამ ტექნიკისადმი ასეთი ინტერესი ბავშვში თავისთავად კი არ წარმოიშობა, არამედ იგი ჩნდება მშობლების, უფროსი და-ძმების, ამხანაგებისა და სხვათა ზეგავლენის შედეგად.

თანამედროვე ტექნიკისადმი ინტერესისა და სიყვარულის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს უწინარეს ყოვლისა მშობლათა ნაამბობს იმ მანქანების შესახებ, რომლებთანაც მათ საქმე აქვთ წარმოებაში. ასეთი ნაამბობი, რასაკვირველია, უნდა შეეხებოდეს არა მარტო თვით ტექნიკას, არამედ წარმოებაში მუშაკთა შრომასაც, ბავშვებს გასაგები ფორმებით უნდა უხასიათებდეს საწარმოო პროფესიებს.

ზოგიერთი მშობელი, აგრეთვე უფროსი ძმები და დები, მიტად მარჯვედ აცნობენ ბავშვებს ქარხანას, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, სადაც ისინი მუშაობენ, ხშირად ჰყვებიან ოჯახში თავიანთ წარმატებებსა და სიძნელეებზე მუშაობაში, იმაზე, თუ როგორ იბრძვის კოლექტივი საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ან უხვი მოსავლის მოყვანისათვის. მაშინ მთელი ოჯახი, მათ შორის ბავშვებიც იწყებენ ცხოვრებას იმ საწარმოს ინტერესებით, სადაც ამ ოჯახის წევრები მუშაობენ.

თუ მშობლებს შესაძლებლობა აქვთ წაიყვანონ მე-5-10 კლასის მოსწავლეები თავიანთ წარმოებაში, მათ ეს აუცილებლად უნდა გამოიყენონ. ამ შემთხვევაში ბავშვები კიდევ უკეთ, ვიდრე მშობლების სიტყვებიდან, წარმოიდგენენ იმ ტექნიკას, რომელსაც წარმოებაში იყენებენ. ისინი გაეცნობიან იმას, თუ როგორ მუშაობენ წარმოების მოწინავენი, როგორ იყენებენ ტექნიკას.

მთელ რიგ სკოლებში ასეთი მუშაობა უკვე მიმდინარეობს. მაგალითად, ზაგორსკის 1-ლი სკოლის მე-5-10 კლასების 400 მოსწავლიდან 340 მოსწავლე უკვე იყო მათი მშობლების მუშაობის ადგილას — მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებში, სტამბაში, ქარხნის სახარატო, სპილენძის, საქვაბე, ამწყობ და სხვა საამქროებში, რკინიგზის დეპოში, ტელეფონის სადგურში, ელექტროსადგურში, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში.

როგორც ზაგორსკის 1-ლი სკოლის კლასის ხელმძღვანელი გ. მ. ივანოვი აღნიშნავს, განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა ექსკურსიას ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში. სატვიფრავ-საწნეხე საამქროში ერთ-ერთმა მშობელმა, ამ საამქროს ოსტატმა, ხალისით აუხსნა მოსწავლეებს ჩარხების მოქმედების პრინციპი და მათი მოწყობილობა. სამუშაო ნახაზებით მან აღნიშნა შესრულებული დავალების თავისებურებანი, ხოლო შემდეგ ჩარხზე უჩვენა მოსწავლეებს მთელი რიგი საწარმოო ოპერაციები. მოსწავლეებმა დაათვალიერეს აგრეთვე მექანიკური, სამსხმელო, საყალიბო და სამოდელო საამქროები, აგრეთვე ელექტროშედუღებისა და მონტაჟის საამქრო.

მოსწავლეები დიდად კმაყოფილი დარჩნენ. ისინი დარწმუნდნენ, თუ რა აუცილებელია მუშებისათვის ფიზიკის, მექანიკის, ქიმიის, ხაზვის საფუძვლების ცოდნა, რა ოსტატურად იყენებენ ისინი ცოდნას საქმის გასაუმჯობესებლად. ამან ზოგიერთ მოსწავლეს გადაასინჯვინა თავისი დამოკიდებულება მეცადინეობისადმი, წრეებში მუშაობისადმი.

როდესაც პატარა ბავშვებთან ვსეირნობთ, საჭიროა მათი ყურადღება მივაქციოთ სხვადასხვა მანქანის მუშაობაზე. მაგალითად, ქალაქში ბავშვებს შეიძლება ვუჩვენოთ, როგორ მუშაობენ მანქანები, რომლებიც ქუჩებში ასფალტს აგებენ, როგორ მოქმედებს ამწე მშენებლობაზე, ხოლო სოფლებში ბავშვებს უნდა გავაცნოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

უმცროსი და საშუალო სკოლის ასაკის ბავშვებს შეიძლება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოვუწყოთ სპეციალური ექსკურსიები ტექნიკის, ფაბრიკების, ქარხნებისა და პროფესიების გასაცნობად. მაგალითად, წავიყვანოთ ისინი სახლის მშენებლობის მოედანზე, საკოლმეურნეო მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, სახელოსნოში.

ერთ-ერთ სკოლაში მშობლებმა მოაწყეს ექსკურსია საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. მოედნის სხვადასხვა ადგილას ბავშვები დიდხანს ადევნებდნენ თვალყურს საძირკვლის ჩაყრას, სამშენებლო დუღაბის დამზადებას, ნივნივების აგებას, სართულებს შორის კოჭების დადგმას და სხვ. ერთ-ერთმა მასწავლებელმა, რომელმაც შეაჯამა ექსკურსიის შედეგები, მოსწავლეებთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშენებლო საქმეში ნახაზების წაკითხვის პრაქტიკულ ჩვევებს, სხვადასხვა ინსტრუმენტის ათვისებას და სამშენებლო მექანიზმების: ექსკავატორების, ჯალამბრების, ამწეების და სხვ. ცოდნას. მან აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოები ეყრდნობა ისეთი მეცნიერების მონაცემებს, როგორიც არის ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა. ბავშვთა პოლიტექნიკური ჰორიზონტის გასაფართოებლად სასარგებლოა, რომ მათთან ერთად დავათვალიეროთ სხვადასხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, გამოვიყენოთ ოჯახში კითხვისათვის სამეცნიერო-პოპულარული წიგნები ტექნიკის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებზე. ამავე მიზნით ძალიან კარგია სახლში გვქონდეს ასეთი წიგნების პატარა ბიბლიოთეკა, მოვაწყოთ უფრო საინტერესო წიგნების ერთობლივი ხმამაღალი კითხვა და ბავშვებთან ერთად განვიხილოთ ამ წიგნებში გაშუქებული საკითხები.

ტექნიკისადმი ბავშვთა ინტერესის განვითარებისათვის ოჯახში შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე თამაშობანი და სხვადასხვა სათამაშოები.

პოლიტექნიკური ცოდნის, უნარისა და ჩვევების შეძენაში დიდ როლს ასრულებს ბავშვთა სასწავლო შრომა ოჯახში. საშინაო დავალების შესრულებისათვის რეგულარული დამოუკიდებელი შრომის გაუწევლად მოსწავლეებს არ შეუძლიათ აითვისონ მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნა, შეიძინონ იმის უნარი, რომ გამოიყენონ მეცნიერება პრაქტიკაში, საკმარისად განავითარონ საჭირო პრაქტიკული ჩვევები.

პოლიტექნიკური სწავლების ამოცანებთან დაკავშირებით ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ასრულებენ მოსწავლეები საშინაო პრაქტიკულ დავალებებს იმ მანქანათა და ხელსაწყოთა შესწავლაში, რომლებსაც ყოფაცხოვრებაში იყენებენ, როგორ ამზადებენ თვითნაკეთ ხელსაწყოებს, აწყობენ სხვადასხვა დაკვირვებასა და ცდას ოთახის, ბაღის, ბოსტნის მცენარეებსა და შინაურ პირუტყვზე, ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოებს საშინაო ვითარებაში, სახლთან მდებარე ბაღში ან ბოსტანში.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ახალგაზრდა თაობამ „თავისი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღე, ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას“ (თხზ., ტ. 31, გვ. 360).

ახლა მოსწავლეთა საზოგადოებრივი შრომა სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. აწყობს რა ამ შრომას, სკოლა ისწრაფვის განამტკიცოს ცოდნა და ის პრაქტიკული ჩვევები, რომლებიც მიიღეს მოსწავლეებმა გაკვეთილებზე, ჩაუნერგოს მოსწავლეებს ისეთი მორალური თვისებები, როგორიც არის შრომისადმი სიყვარული, ამხანაგური ურთიერთდახმარება, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებ

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მომავალი არჩევნების გამო

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ახლოვდება კონგრესის არჩევნები, რაც დანიშნულია 2 ნოემბრისათვის, საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში შესამჩნევად აქტიური ხდება. წელს ხელახლა არჩეულ იქნება წარმომადგენელთა მთელი პალატა (435 წევრი) და სენატის 37 წევრი (96 წევრის საერთო რიცხვიდან), აგრეთვე არჩეულ იქნებიან 48 შტატიდან 34 შტატის გუბერნატორები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და შტატების საკანონმდებლო კრებები.

როგორც ცნობილია, 83-ე მოწვევის კონგრესში, რომელმაც ამას წინათ დაამთავრა მუშაობა, რესპუბლიკურ პარტიას ორივე პალატაში მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობა ჰქონდა. წარმომადგენელთა პალატაში მას ჰქონდა 4 ადგილით, ხოლო სენატში — ერთი ადგილით მეტი, ვიდრე დემოკრატიულ პარტიას. ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ ძალთა ეს განაწილება მოასწავებს ორი პარტიის მწვავე ბრძოლას მომავალ არჩევნებში.

გაჩაღებულ წინასაარჩევნო კამპანიაში რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიული პარტია ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს უთანხმოება არსებობს. ცდილობენ რა მოიპოვონ ამომრჩეველთა ხმები, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები დემაგოგიურად აცხადებენ, რომ მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუარესებასა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში კრიზისის მოვლენების გამწვავებაში ბრალი მხოლოდ რესპუბლიკელებს მიუძღვით.

მაგრამ, როგორც 83-ე მოწვევის კონგრესის სესიამ ცხადყო, დემოკრატები და რესპუბლიკელები ერთად ხმამედებენ, უტიფრად არა ამერიკელ მშრომელთა ინტერესებს. ორივე პარტია კონგრესში მჭიდროდ თანამშრომლობს საგარეო პოლიტიკურ საკითხებშიც. დემოკრატებმა არა მარტო რესპუბლიკელებთან ერთად მისცეს ხმა უდიდესი სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცებას, არამედ კიდევაც აკრიტიკებდნენ შეიარაღების წარმოების მთავრობის პროგრამას, როგორც „არასაკმაოს".

ავტორები კონგრესის მიერ მიღებული ბევრი რეაქციული კანონისა, იყვნენ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც ამით ცხადყვეს, რომ ისინი დიდი მონოპოლიების ნების არანაკლებ გულმოდგინე აღმსრულებლები არიან, ვიდრე რესპუბლიკელები. აღნიშნულია, რომ ფაშისტური კანონპროექტი კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ შეიტანა ეგრეთწოდებულ „ლიბერალთა" ჯგუფმა დემოკრატიული პარტიიდან სენატორ ჰემფრის მეთაურობით (მინესოტის შტატიდან). დემოკრატთა პირდაპირი ხელშეწყობითა და მონაწილეობით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში მიღებულ იქნა კანონპროექტები მონოპოლიებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მილიარდობით დოლარად ღირებულ ეროვნულ სიმდიდრეთა გადაცემის შესახებ. კონგრესის ორივე პარტიის წევრები ფუშავდნენ კანონპროექტებს, როცა ამ კანონპროექტებით გათვალისწინებული იყო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო მშრომელთა მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებისაკენ. ასე უარყოფილ იქნა, მაგალითად, კანონპროექტები სკოლების მშენებლობის შესახებ, სამედიცინო დაზღვევის მთავრობის ფონდის შექმნის შესახებ და სხვ.

ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს ამერიკელი ხალხის უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა წინააღმდეგ რეაქციის გაძლიერებული შტეტვის ვითარებაში. რეაქციული წრეების მოქმედებას ამ მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, სავსებით უჭერენ მხარს ამერიკის მონოპოლიები. ეს უკანასკნელნი მათთვის სასურველი პირების ასარჩევად სახსრებს მილიონობით იძლევიან. ჟურნალ „ნიუ რიპაბლიკის" ცნობით, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად აღიარა, რომ ამ პარტიის ფონდმა საარჩევნო კამპანიის მოსაწყობად უკვე 4 მილიონ ნაღდი მიაღწია. ამ სახსრების მნიშვნელოვანი წილი შესულია ბანკებისა და კომპანიების სეიფებიდან. მონოპოლიები უხვად აფინანსებენ აგრეთვე დემოკრატიულ პარტიას.

ჰოლანდიის კომპარტიის მიმართვა ჰოლანდიელი ხალხისადმი ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის გეგმების ჩაშლის გამო

ჰაააგა, 2 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „დე ვაარჰეიდმა" გამოაქვეყნა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ჰოლანდიელი ხალხისადმი. მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საფრანგეთის უარი დაამტკიცოს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ნიშნავს მშვიდობის ძალების გამარჯვებას, ჯერ არასოდეს არ ყოფილა მთელ მსოფლიოში მშვიდობას განმტკიცების ისე დიდი შესაძლებლობა, როგორც ახლა. ამასთან ერთად კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას აქცევს იმას, რომ „ვაშინგტონის დაქირავებულნი, რომლებიც სასოწარკვეთილებაში არიან ევროპის არმიის შექმნის თავიანთი გეგმების ჩაშლის გამო, სხვა გზებს ეძებენ, რათა ძალიადაღონ ომის დასავლეთ გერმანელი გამჩაღებლები".

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ჩაშლა, ნათქვამია მიმართვაში, ჰოლანდიის წინაშე აყენებს გადაუდებელ ამოცანას — შექმნას ახალი მთავრობა, რომელიც დაადგებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზას, რომელიც ახლა გაიხსნა.

ჯაშუშთა ხროვის გასამართლება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, ქალაქ ჰალეში დამთავრდა ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთის ბიუროს" (ჯაშუშთა ორგანიზაცია, რომელიც შექმნეს დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერებმა) აგენტთა ჯგუფის გასამართლება.

სამართალში მიცემული იყვნენ: კარლ-ჰაინც კაიზერი, პაულ ჰეტერი, ჰელმუტ შტრაკზნერი, პაულ ფილიპი და ემა კაიზერი. გამოირკვა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი ჯაშუშობას ეწეოდნენ ჰალეს ოლქში და აწარმოებდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას.

სასამართლომ კაიზერს მიუსაჯა 12 წლის, ჰეტერსა და შტრაკზნერს 9 წლის, ფილიპსა და ე. კაიზერს 8 წლის შრომა გამასწორებელი მუშაობა.

„გერმანელი პატრიოტების ამოცანაა ხელი შეუშალონ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ყოველ ცდას"

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება

ბერლინი, 4 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყება გადმოსცემს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა სხდომამ 3 სექტემბერს განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ. მინისტრთა საბჭომ საგარეო საქმეთა მინისტრის დოქტორ ლოტარ ბოლცის წინადადებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ უარყო ფრანგი ხალხის დამოუკიდებლობისა და ბედნიერი მომავლის გულისთვის. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, იგი წარმატებაა მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებისა, რომლებიც ისწრაფვიან ხელი შეუშალონ იმას, რომ აღორძინდეს გერმანიის მილიტარიზმი, როგორც ევროპის სახელმწიფოთა ნაწილის აგრესიული სამხედრო დაჯგუფების საფუძველი.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულების უარყოფა ახალ შესაძლებლობებს ქმნის იმისათვის, რომ ყოველმხრივ მოწესრიგდეს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი, აგრეთვე მშვიდობიანი გზით გადაწყდეს გერმანიის პრობლემა. ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასა და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მნიშვნელოვან უმრავლესობასთან სრული თანხმობით მიეხალმება აღნიშნული ხელშეკრულების უარყოფას.

ადენაუერის პოლიტიკა, ისევე როგორც მისი წინამორბედის ჰიტლერის პოლიტიკა, გამოუვალ ჩიხს ქმნის, რადგან იგი ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის როგორც აღმოსავლეთელი, ისე დასავლეთელი მეზობლების სასიცოცხლო ინტერესებს და იწვევს მკვეთრ წინააღმდეგობას მათ მხრივ. გერმანიის საკითხისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა მოითხოვს გულწრფელ და მშვიდობიან ურთიერთობას გერმანიის მოსაზღვრე ყველა სახელმწიფოსთან.

თუ ახლა შეეცდებიან მიაღწიონ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული ვერმახტის აღორძინებას რომელიმე სხვა ფორმით, ასეთი ცდების წინააღმდეგ საჭიროა ვაწარმოოთ ისეთივე მტკიცე ბრძოლა, რა გზითაც „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულების წინააღმდეგ. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება" — რა ფორმითაც უნდა იყოს — ითვალისწინებს იგი კოალიციური არმიის შექმნას, რომელშიც დასავლეთგერმანელი ჯარისკაცებიც შევლენ, დასავლეთ გერმანიის მიღებას ჩრდილოეთ-ატლანტიკის პაქტში თუ სხვა ვარიანტებს, — მიუღებელია გერმანელი ხალხისათვის, რადგან იგი შეუძლებელს ხდის გერმანიის გაერთიანებას და ეშუქრება ევროპის მშვიდობას. ყველა გერმანელი პატრიოტის, ამოცანა ის არის, რომ ხელი შეუშალონ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ყოველ ცდას.

სუვერენიტეტს, რომელსაც ახლა ადენაუერი მოითხოვს დასავლეთ გერმანიისათვის, საერთო არა აქვს რა ნამდვილ სუვერენიტეტთან, რომელსაც დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას უნდა მიანიჭოს უფლება გადაწყვეტილება გამოიტანოს ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ, მშვიდობისა და გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების სასარგებლოდ, როგორც ეს დაუბრკოლებლად შეუძლია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას.

ასეთ სუვერენიტეტს მოითხოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დასავლეთ გერმანიისთვისაც.

ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისა და გერმანიის ერთიანობის განხორციელებისათვის არსებობს ერთი სწორი გზა: ეს არის ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თანასწორუფლებიან საწყისებზე ევროპის ყველა სახელმწიფო. ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელები ახლა უნდა შეთანხმდნენ; საჭიროა ერთად განსახღვრონ სრულიად გერმანიის ერთიანი თვალსაზრისი, რომელიც შესაძლებელს გახდის გადაიჭრას ჩვენი ეროვნული საკითხი და ხელს შეუწყობს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უკვე არაერთხელ წამოაყენა წინადადება, რომ მოეწყოს სრულიად გერმანიის მოლაპარაკება; იგი კვლავ მოითხოვს ამას ახლა და აცხადებს, რომ მზად არის მხარი დაუჭიროს ყველა ღონისძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს შეთანხმების მიღწევას.

ცნობილი ჰიგლერელი მოხელეები ხელმძღვანელ პოსტებზე არიან დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ გერმანიის ეკონომიური ინსტიტუტის ცნობებით, ბევრ მსხვილ გერმანელ ბანკირს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან, კვლავ გაბატონებული პოზიციები უკავია დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაში.

გერმანიის ეკონომიური ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ ბანკირი გერმან ანსი, „დოიჩე ბანკის" გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ჰიტლერული აგრესიის დროს კონტროლს უწევდა ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, რუმინეთისა და პოლონეთის ყველაზე დიდ ბანკებს, უკვე 1950 წელს ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით სათავეში ჩაუდგა დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის აღდგენის საკრედიტო დაწესებულებას, რომელსაც კონტროლს უწევს ამერიკელთა ფინანსური კაპიტალი. ამჟამად ანსი არის მიუნხენის „ზიუდდოიჩე ბანკის" („დოიჩე ბანკის" მემკვიდრე) გამგეობის თავმჯდომარე, კონცერნ „ფერაინიგტე გლანცშტოფ ფაბრიკენ აგ"-ის ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარე. მასვე უკავია ხელმძღვანელი პოსტები ბევრ სხვა კონცერნში.

ახლა დასავლეთ გერმანიის მთელ ცხოვრებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ „დოიჩე ბანკის" გამგეობის მთელი რიგი სხვა ყოფილი წევრებიც, მათ შორის ვ. ბეხტოლფი, რ. ფროვაინი, კ. პლასმანი და ო. რესლერი. ბეხტოლფი „ნორდ დოიჩე ბანკის" (ეს „დოიჩე ბანკის" მეორე მემკვიდრეა) ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარეა ჰამბურგში, კ. პლასმანი მეთაურობს „რაინიშვესტფალიშე ბანკს" („დოიჩე ბანკის" მესამე მემკვიდრეა) დიუსელდორფში, ხოლო ფროვაინი „ზიუდდოიჩე ბანკის" გამგეობის წევრია. რესლერი ეგრეთწოდებული „კერძო ბანკების ფედერალური გაერთიანების" გამგეობის წევრია.

„დოიჩე ბანკის" გამგეობის ყოფილი წევრი კარლ რიტერ ფონ ჰალტი „ზიუდდოიჩე ბანკის" ზედამხედველი საბჭოს წევრია. ნაცისტური რეჟიმის დროს იგი ეგრეთწოდებული „ჰიმლერის მეგობართა წრის" წევრი იყო. „ჰიმლერის მეგობართა წრეში" იკრებებოდნენ გერმანელი ფინანსური კაპიტალის ხელმძღვანელი წარმომადგენელნი, რომლებიც ჯერ კიდევ 1933 წელს ხელს უწყობდნენ „სს" ორგანიზაციის დანშაულებრივ საქმიანობას, აძლევდნენ მას დიდ ფულად თანხებს. ამ „წრეს" ეკუთვნოდნენ ბანკირები შრედერი („ი. გ. ფარბენინდუსტრი"), ფლეკი, რენერტი („რაინსველკე-კონცერნი"), რაშე („დრეზდენერ ბანკი") და სხვები.

ახლა დასავლეთ გერმანიაში ფიდმნიშვნელოვანი პოსტები უკავიათ ყოფილი „დრეზდენერ ბანკის" გამგეობის ხელმძღვანელ წარმომადგენლებსაც. მათ რიცხვს ეკუთვნიან უწინარეს ყოვლისა ცინსერი და ჰეტენ. ცინსერი „რაინმაინ-ბანკის" (ყოფილი „დრეზდენერ ბანკის" მემკვიდრე) გამგეობის წევრი და „ფარბვერკე ჰეხსტის" (რომელიც წინათ ტრესტში „ი. გ. ფარბენინდუსტრში" შედიოდა) საწარმოს ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარეა. კარლ ჰეტენს უკავია „რაინ-რურ ბანკის" (აგრეთვე „დრეზდენერ ბანკის" მემკვიდრეა) ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი და პასუხსაგები პოსტები მსხვილ სამრეწველო და სადაზღვევო კონცერნების ზედამხედველ საბჭოებში.

ყოფილი „დრეზდენერ ბანკის" ერთ-ერთ წარმომადგენელს ემილ პულს უკავია ჰამბურგის საკრედიტო ბანკის გამგეობის წევრის პოსტი. ომის დროს ის „სს"-ელებისაგან აღებდა ძვირფასეულს „გერმანიის რაიხსბანკისათვის". ეს ძვირფასეული ჩამორთმეული ჰქონდათ საკონცენტრაციო ბანაკებში ნაწამებ ადამიანებს.

ახლა დასავლეთ გერმანიაში აქტიურ როლს ასრულებს მეორე ჰიტლერელი ბანკირი ფრიდრიხ ერნსტი. 1939 წელს იგი დაინიშნა „ნაადავილი ქონების გამოყენების საკითხთა რაიხსკომისრად". მისი ამოცანა იყო ფაშისტური სამხედრო ეკონომიკისათვის დავმორჩილებინა იმ ქვეყნების საწარმოები, რომელთა ოკუპაციას ჰიტლერელებმა მოახდინეს. ახლა ერნსტი მეთაურობს ეგრეთწოდებული გერმანიის გაერთიანების საკითხთა გამომკვლევ საბჭოს. არის ჰამბურგის ბანკირთა სახლის „დელბრიუკ, შიკლერ უნდ კო"-ს თანამფლობელი, აგრეთვე კონცერნ „ავგ"-ის ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარე.

„ევროპის არმიის" ხელშეკრულების ჩაფუშვა ხელსაყრელ პირობებს ქმნის გერმანიის საკითხის გადასაჭრელად

ბერლინის პრესის კომენტარები

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთები მოწინავე სტატიებსა და კომენტარებში აღნიშნავენ, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ალმით დასავლეთ გერმანიის აგრესიული არმიის შექმნის ამერიკა — ბონის გეგმების ჩაფუშვა არა მარტო ფრანგი ხალხის, არამედ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებაა.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ხაზგასმით აღნიშნავს: ხალხები უარყოფენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გზით ევროპაში ომის ახალი კერის შექმნის პოლიტიკას, რომელსაც მათ თავს აბავენენ. ეს მათ გაანადგურეს პარიზის სამხედრო პაქტი. ახლა უფრო მეტად ნათელი გახდა, რომ ხალხები უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე ამერიკის „ძალის პოლიტიკა".

ამასთან დაკავშირებით „ნოიეს დოიჩლანდი" აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობის წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ უკვე ახლა დიდ გავლენას ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე".

ბერლინის დემოკრატიული გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ახლა გერმანიის გაერთიანების საქმე მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზეა, მაშასადამე, ევროპის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეც უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დამოკიდებულია თვით გერმანელებზე.

აღნიშნავს რა დასავლეთ გერმანიაში გერმანიის არმიის აღორძინების სხვა ვარიანტებს, რომლებსაც ბონსა და ვაშინგტონში ამზადებენ, გაზეთი „დერ მორგენი" წერს: „საფრანგეთის პარლამენტმა ყურად იღო ხალხის ხმა. მაგრამ არც ადენაუერს, არც დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის უმრავლესობას დღემდე არა სურთ დათანხმდნენ გერმანელი ხალხის მოთხოვნებზე. სწორედ ახლა საჭიროა მთელ გერმანიაში მიღებულ იქნას გარკვეული გადაწყვეტილება მშვიდობის სასარგებლოდ, რომელსაც ჩვენი ხალხი ესწრაფვის".

დამასკოში გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა

დამასკო, 3 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დამასკოში ზეიმით გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა. ბაზრობის გახსნას დაესწრნენ სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაშიმ ატასი, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, საგაჭრო და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაში მონაწილეობს 28 სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, საუდის არაბეთი და სხვა ქვეყნები. ინგლისი ბაზრობაში არ მონაწილეობს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მათ გადაწყვიტეს ბაზრობაში მონაწილეობა მიიღონ უკანასკნელ მომენტში. მათი მონაწილეობა გამოიხატება ბაზრობაზე პროპაგანდისტული მიზნებისათვის კინოეკრანის მოწყობით.

ბაზრობის გახსნის შემდეგ სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ატასმ მთავრობის წევრთა თანხლებით დაათვალიერა საბჭოთა და სხვა პავილიონები. პრეზიდენტმა ატასმ სირიაში სსრ კავშირის დესპანის ს. ს. ნენჩინის მეშვეობით მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაში მონაწილეობისა და საბჭოთა პავილიონის უნაკლო ორგანიზაციისათვის.

საბჭოთა პავილიონი სირიის საზოგადოებრივობის დიდ ყურადღებას იპყრობს.

ინდოჩინეთში დაზავების შესახებ შეთანხმების გამო

შანხაი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 26 და 31 აგვისტოს დამთავრდა ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილების გადაჯგუფება შესაბამისად ცენტრალური ვიეტნამის სამხრეთ ნაწილსა და სამხრეთ ვიეტნამში. ამრიგად, გადალახა რა ყველა სიძნელე, რაც დაკავშირებული თითქმის ათასი კილომეტრი სიგრძის ფრონტზე ჯარის ნაწილებისათვის გადაჯგუფების შესახებ ბრძანების გადაცემასთან, სახალხო არმიამ ზუსტად შეასრულა დაზავების შესახებ შეთანხმების დებულებანი. გადაჯგუფების მსვლელობაში სახალხო არმია ადგილობრივი მოსახლეობის სრულ მხარდაჭერას ჰპოვებდა, რის გამოც გადაჯგუფება მაღე განხორციელდა.

სომპარი მზადება გოაში

დელი, 3 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ინდიან ექსპრესი" იუწყება, რომ გოაში (პორტუგალიის სამფლობელო ინდოეთში) კვლავ ჩაჰყავთ ჯარისკაცები და ჩაყვნა შეიარაღება პორტუგალიიდან.

გეშმა „ბარტოლომეუ დიასმა" ჩაიტანა ქვემეხების დიდი პარტია. გემებმა „ინდიამ", „ტიმორამ" და „მოზამბიკმა" გოას ჩაიყვანეს 3.000 ჯარისკაცი, ძირითადად პორტუგალელები.

გაზეთის ცნობით, დაბოლიმში (ქალაქ გოას ახლოს) დღედაღამ წარმოებს მუშაობა აეროდრომის მშენებლობაზე.

მდგომარეობა ტუნისში

პარიზი, 3 სექტემბერი. (საკდესი). პრესის ცნობით, გუშინ იმის გამო, რომ ტუნისს ჩავიდა ტუნისისა და მაროკოს საქმეთა მინისტრი ფუშე, გადასახლებიდან დაბრუნეს 200 ტუნისელი პატრიოტი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილენი ეს ღონისძიება განახორციელეს საფრანგეთ-ტუნისის მოლაპარაკების დაწყების წინ, მაგრამ იგი არ ეხება „ნეო-დესტურის" პარტიის ლიდერს ჰაბიბ ბურგიბას, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

გაზეთ „ლუმანიტეს" ტუნისის პატრიოტთა დიდი ჯგუფის განთავისუფლება მიაჩნია ტუნისელი ხალხის გამარჯვებად, რომელიც დიდი ხანია მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას.

რეპრესიები „ევროპის არმიის" მოწინააღმდეგეთა მიმართ

პარიზი, 3 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ფრანს-ტუარის" ცნობით, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის აღმასრულებელმა კომისიამ პარტიიდან გარიცხა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სტატს-მდივანი ანდრე მონტეელი, ეროვნული კრების დეპუტატი ანრი ბურე და რესპუბლიკის საბჭოს წევრი ლეო ამონი იმისათვის, რომ მათ გაილაშქრეს „ევროპის არმიის" შექმნის წინააღმდეგ.

მილიტარისტული პროპაგანდის წინააღმდეგ ავსტრიაში

ვენა, 3 სექტემბერი. (საკდესი). ეურნალმა „დი ესტერიხიშე ნაციონ

" გამოაქვეყნა სტატია ვენის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის პროფესორის ადოლფ მერკლისა, რომელიც ელაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრიაში მოეწყოს „ჯარისკაცთა შეხვედრები", და სხვა სახის მილიტარისტული პროპაგანდის წინააღმდეგ. სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია: ჰიტლერული ვერმახტის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ასეთი დემონსტრაციები და მიტინგები შეუთავსებელია ავსტრიის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობასთან.

1945 წლის აპრილში განცხადება ავსტრიის დამოუკიდებლობის შესახებ იმით იყო დასაბუთებული, რომ არასოდეს არც ერთ პატიოსან ავსტრიელს არ მოუწონებია ჰიტლერული ომი. მიუხედავად ამისა, „ჯარისკაცთა შეხვედრებზე" წარმოთქმულ სიტყვებში — წინააღმდეგ ავსტრიის განცხადებისა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ — ქებას ასხამენ გერმანიისა და ავსტრიის „ერთობლივ საბრძოლო ბედს", ქებას ასხამენ ჰიტლერულ ომს.

მოსკოვის საესტრადო ორკესტრის გასტროლები

თბილისში საგასტროლოდ იმყოფება საბჭოთა მაყურებლისათვის ფართოდ ცნობილი მოსკოვის საესტრადო ორკესტრი. ორკესტრს არსებობის 24 წლის ისტორია აქვს და მას უცვლელად ხელმძღვანელობს მისი დამაარსებელი ბორის რენსკი.

ამ ორკესტრს ქართველი მაყურებელი ჯერ კიდევ 1930 წლიდან იცნობს. მას შემდეგ ორკესტრი მრავალფეროვანი პროგრამით ბევრჯერ ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში.

ამჟამად მოსკოვის საესტრადო ორკესტრი ფილარმონიის საზაფხულო თეატრში თბილისელი მაყურებლის წინაშე გამოდის სრულიად ახალი საინტერესო პროგრამით — „მათთვის, ვინც დარბაზშია".

კონცერტები ცხადყოფენ, რომ ბ. რენსკი არა მარტო ნიჭიერი დირიჟორია, არამედ ესტრადის მრავალფეროვანი ჟანრის ოსტატიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული სატირულ-იუმორისტული კუპლეტები: „დედები და შვილები", „ეს ხელოვნება არ არის", „ვოვა კი სულ ცეკვავს" და სხვ.

მოსაწონია ბ. რენსკის დირიჟორობით ორკესტრის მიერ შესრულებული შტრაუსის ვალსები და ნაწყვეტები ს. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტედან". ინსტრუმენტალური კვარტეტი — ი. გერბერის (კლარნეტი), ს. კისელიოვის (ვიოლინო), ა. ნესტერენკოს (აკორდეონი) და მ. გოროდეცენკოს (კონტრაბასი) შემადგენლობით კარგად ასრულებს უნგრულ რაფსოდიას და მოლდავურ ხალხურ სიმღერას „ლიანა".

მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ მომღერალი ნ. როზინკინა ხიმღერებისათვის „ქალიშვილი მარი", „კრემლის ბალზე", მოცეკვავეები ა. მალიშევა და ვ. გლუბოვი ცეკვისათვის „კუბის სერენადა".

დიდ ნიჭსა და არაჩვეულებრივ მოქნილობას გვიჩვენებს რთულ აკრობატულ ეტიუდში საკავშირო კონკურსის დიპლომანტი ევდოკია ვლასენკო.

ორიგინალურ ყანრში გონებამახვილური და საინტერესო მუშაობით მაღალ შეფასებას იმსახურებს ორკესტრის მსახიობი ბ. ჩეხკინი.

კონცერტის წამიმატებას ხელს უწყობს პროგრამის წამყვანი ვ. იუგოი, რომელიც მაღალი გემოვნებითა და ზომიერების გრძნობით ასრულებს მთელ რიგ საინტერესო ნომრებს.

ორკესტრის საინტერესო კონცერტები, რომლებსაც ყოველდღიურად უამრავი ხალხი ესწრება, დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ფილარმონიის საზაფხულო თეატრის გარდა ორკესტრი კონცერტებს გამართავს თბილისის ოფიცერთა სახლის პარკში და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში.

ბ. ძნელაძე.

• • •

სურათზე: მოსკოვის საესტრადო ორკესტრი. ცენტრში — ორკესტრის ხელმძღვანელი ბ. რენსკი, მარჯვნივ სოლისტი ნ. როზინკინა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვაჭროგის ახალი საათები თბილისის საცალო სავაჭრო ქსელში

ქალაქის მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით 6 სექტემბრიდან თბილისის საცალო სავაჭრო ქსელში წესდება ვაჭრობის ახალი საათები.

ერთცვლიანი სასურსათო მაღაზიები იმუშაებენ 8 საათიდან 17 საათამდე, ცვლანახევრიანი — 8 საათიდან 20 საათამდე, ხოლო ორცვლიანი — 8 საათიდან 24 საათამდე.

პურის, ხორცისა და რძის ერთცვლიან მაღაზიებში გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი) ვაჭრობა იწარმოებს 7-დან 16 საათამდე, ცვლანახევრიანში — 7-დან 19 საათამდე, ორცვლიანში — 7-დან 24 საათამდე; შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (ნოემბერი-მარტი) ერთცვლიანი მაღაზიები იმუშაებენ — 8-დან 17 საათამდე, ცვლანახევრიანი — 8-დან 20 საათამდე, ხოლო ორცვლიანი — 8-დან 24 საათამდე.

ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები იმუშაებენ 8-დან 22 საათამდე.

საკონდიტრო ნაწარმის, ნაყინის, წყლების უალკოჰოლო სასმელების მაღაზიები — 9-დან 24 საათამდე.

ღვინო-არყის და თამბაქოს ნაწარმის სპეციალიზებული მაღაზიებისათვის მუშაობა წესდება მხოლოდ ერთ ცვლად — 9-დან 18 საათამდე, ერთი საათის შესვენებით.

სამრეწველო საქონლის მაღაზიების მუშაობა იწარმოებს 10-დან 20 საათამდე.

სასურსათო მაღაზიებში ვაჭრობა იწარმოებს ყოველდღე, გარდა კვირა და უქმედღეებისა, ხოლო სამრეწველო მაღაზიებში — გარდა ორშაბათისა და უქმედღეებისა.

პურის და მორიგ სასურსათო მაღაზიებში ვაჭრობა იწარმოებს ყოველდღე, მათ შორის უქმედღეებშიც.

სასურსათო და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები ერთი საათით იკეტება სადილობისათვის, ხოლო სამრეწველო საქონლის მაღაზიები — ორი საათით. მაღაზიებს, რომლებშიც 5-ზე მეტი კაცი მუშაობს შუადღის შესვენება არ ეძნებათ.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად: 1. პირველი ქირურგიული განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 2. მეორე ქირურგიული განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 3. გინეკოლოგიური განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდი